ფასი 30 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# სალიტერატურო გაზეთი

12 ივნისი 1934 წელი

№ 12 (66)

ტფილისი
მწერალთა სახლი
მაჩაბლის ქუჩა № 13.
ტელეფონი № 1—65.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო

რედკოლეგია: რაჟ. გვეტაძე, დ. დემეტრაძე, ა. დუდუჩავა, ნ. ზომლეთელი, ს. თალაკვაძე, ნ. მიწიშვილი, ლ. ქიაჩელი, გ. ჟღენტი.

## პლენუმისათვის

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს გაფართოებული პლენუმი, რომელიც მოწვეულია 15 ივნისისათვის, მეტად მნიშვნელოვან და საპასუხისმგებლო ამოცანათა გადასაჭრელად იკრიბება.

პლენუმი უნდა გადაიქცეს იმ შემოქმედებითი მიღწევათა დემონსტრაციად, იდეურ შემოქმედებითი და ორგანიზაციული გარდაქმნის იმ ხარისხის გამოაშკარავებად, რომლებიც მოიპოვა საქართველოს საბჭოთა მწერლობამ. ამ მაჩვენებლებით ჩვენ, როგორც საბჭოთა ლიტერატურულ მოძრაობის ერთ-ერთი რაზმი, უნდა წარვსდგეთ უდიდესი საერთაშორისო კულტურულ-პოლიტიკურ მნიშვნელობის მქონე პირველ საკავშირო ყრილობის წინაშე.

ცხადია, ეს გარემოება ვერ მისცემს ჩვენს პლენუმს ლიტერატურული ფრონტის „საზეიმო, „საპარადო" დათვალიერების ხასიათს.

პირიქით, პლენუმის მთელი მუშაობა უნდა გაიშალოს ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ. მაღალი იდეურობისა, მხატვრული ხარისხისა და ენის მაღალ კულტურისათვის ბრძოლა საფუძვლად უნდა დაედოს ჩვენი პლენუმის მთელ საქმიანობას.

„შეღავათების" გარეშე, ამხანაგური თვითკრიტიკის ატმოსფეროში, უდიდესი პრინციპიალობის დაცვით, ყოველგვარი ჯგუფური თუ პირადული განწყობილებათა აღკვეთით, ჩვენ უნდა გმოვამზეუროთ ჩვენი შემოქმედებითი პროდუქციის როგორც თვალსაჩინო მიღწევები, აგრეთვე ცალკე ჩავარდნები, მხატვრული მარცხის, მდარე ხარისხის ყველა შემთხვევები და მთელი ეს კონკრეტული ანალიზის ხაზით გაშლილი მუშაობა დაუქვემდებაროთ ერთ მთავარ ამოცანას: საბჭოთა მწერლობის ძირითადი შემოქმედებითი მეთოდის — სოციალისტური რეალიზმის ღრმად დამკვიდრების პროცესის ნათელყოფას, სოციალისტური რეალიზმის ბუნების ღრმად გარკვევას და დამუშავებას კონკრეტული ფაქტიური მასალის საფუძველზე.

„გარდაქმნის ორი წელი", რომელიც შეადგენს პლენუმზე ძირითადი მოხსენების თემას, გულისხმობს არა მარტო ორგანიზაციულ ანგარიშს, არამედ **იმ ახალი ეტაპის ყოველმხრივ გაშუქებას,** რომელიც შეიქმნა ჩვენს მწერლობაში 23 აპრილის ისტორიულ დადგენილების საფუძველზე, ამ დადგენილების რეალიზაციისათვის ბრძოლის პროცესში.

გარდაქმნის ამ ორი წლის მანძილზე ჩვენ უეჭველი გამარჯვებები მოვიპოვეთ, ჩვენ ძირითადში დავძლიეთ ლიტერატურულ ფრონტზე პრ. მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული შეცდომები, აღიკვეთა ადმინისტრატიული მბრძანებლობის პრაქტიკა მწერლობაში და იგი შეიცვალა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ფორმებით; მოისპო ხელოვნური პრივილეგიების ტრადიციები და გაიშალა შემოქმედებითი შეჯიბრი მწერლებს შორის; მოიხსნა კარჩაკეტილობის ჩარჩოები, ძირითადში განადგურდა ჯგუფობრივობა. ამის შედეგად მივიღეთ საბჭოთა მწერლების საუკეთესო ძალების შემოქმედებითი აქტივიზაცია, უპარტიო საბჭ. მწერლების ძირითადი მასის კიდევ მეტად დაახლოება პარტიის პოზიციებთან.

მაგრამ ეს მუშაობა მიმდინარეობდა გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში. ჩვენს ლიტერატურულ ფრონტზე ჯერ კიდევ მოქმედებენ მოწინააღმდეგე კლასების ნარჩენები. მათ წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ. ძირშივე უნდა ამოვწვათ ნაციონალიზმის ყოველგვარი გამოვლენა. მთელ რიგ მწერალთა შემოქმედებაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს არაპროლეტარულ უცხო იდეათა გავლენების გამოხატულებას. არიან ისეთი მწერლებიც, რომლებიც დღემდე განაგრძობენ „მოლოდინს" და „შუაში დგომის" პოლიტიკას, რომლებიც დღემდე გაბედულად ვერ დამდგარან გარდაქმნის გზაზე.

პლენუმზე ფართოდ იქნება დამუშავებული საბჭოთა პოეზიის, პროზისა და დრამატურგიის საკითხები.

აუცილებლად თავი უნდა დავაღწიოთ ერთის მხრივ ზოგად აბსტრაქტული, განყენებულ მსჯელობათა ტრადიციებს, ხოლო მეორეს მხრივ დიდი საკითხების დაწვრილმანების საფრთხეს, ყოვლად უვარგის ემპირიზმს, ამა თუ იმ მწერლის ცალკე შეცდომას თუ უხერხულად აშენებულ ფრაზის ამოგლეჯას მთელი შემოქმედებითი სისტემიდან და ასეთი „სასენსაციო" კურიოზების „გამოტანით" ურთიერთ ანგარიშგასწორების ცდებს.

კონკრეტულ ლიტერატურულ მოვლენათა გამოყენებით ჩვენთვის აუცილებელ თეორიულ დასკვნების მისაღებად, ჩვენი შემოქმედებითი მეთოდის ძირითად თეორეტიულ პრობლემათა გარკვევით და დასაბუთებით კონკრეტულ მასალის საფუძველზე, ჩვენმა პლენუმმა უნდა მოხაზოს ლიტერატურული ფრონტის ეხლანდელი მდგომარეობის ნამდვილი სურათი და არა მარტო აღნუსხოს, არამედ ახსნას კიდეც როგორც ჩვენი უდავო მიღწევები, აგრეთვე ისიც, თუ რამდენად და რატომ ჩვენი მხატვრული პროზა ჯერ კიდევ ვერ გვაძლევს ეპოქის შესაფერ ტილოებს.

ჩვენი პოეზია ჯერ კიდევ ვერ გადაიქცა მასების მებრძოლი ენტუზიაზმის და შემოქმედებითი აღფრთოვანების, დამრაზმავ ძალად.

ჩვენი დრამატურგია ჯერ კიდევ ვერ ავიდა იმ მხატვრულ სიმაღლეზე, რომელსაც მოითხოვს მისგან სოციალისტური ეპოქა.

პლენუმის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიიპყროს მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურული კრიტიკის საკითხებმა. ამ დარგში ჩვენ საქმე გვაქვს მთელ რიგ სიძნელეებთან, კრიტიკა—ჩვენი ლიტერატურული ფრონტის განსაკუთრებით ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენს. აქ გარდაქმნა ყველაზე ნაკლები ტემპით მიმდინარეობს კრიტიკა იშვიათ გამონაკლისების გარეშე ჯერ კიდევ ვერ დაეუფლა მხატვრული შემოქმედების სპეციფიურ მხარეებს, ვერ შეიჭრა მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში, ვერ შესძლო მხატვრული ფორმის კონკრეტული ანალიზით ნათელყოფა ნაწარმოების სოციალური ღირებულებისა, მწერლის იდეური მიზანმისწრაფებისა.

ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა „რაპპის" კრიტიკულ არსენალიდან გადმოტანილი უვარგისი მეთოდებისაგან, მწერლისადმი ქედმაღლურ დამოკიდებულების, ჯგუფურ განწყობილების და „თავისიანები"-ს ტრადიციებისაგან.

ყველა ეს მომენტები პლენუმმა უნდა გამოააშკარავოს ჩვენი თეორიულ კრიტიკული ძალების ნამუშევართა კონკრეტულ ანალიზის ნიადაგზე. მაგრამ ამავე დროს უნდა შევებრძოლოთ ზოგიერთ შემოქმედებითი მუშაკების განწყობილებებს, რომელთაც სურთ საერთოდ შეამცირონ მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურული კრიტიკის უდიდესი მნიშვნელობა, ხელმძღვანელი როლი მწერლობის განვითარებაში.

არც ერთ ნამდვილ საბჭოთა მწერალს უფლება არა აქვს დარჩეს პასიური მაყურებლის მდგომარეობაში ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხების დამუშავების დროს. ყოველი ნამდვილი საბჭოთა მწერალი ვალდებულია ღრმად გაითვალისწინოს პლენუმის დღის წესრიგში შეტანილ საკითხების დიდი მნიშვნელობა.

პლენუმის მთელი მუშაობა უნდა დაუქვემდებაროთ იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც საფუძვლად ედება ჩვენ საკავშირო ერთიან ლიტერატურულ ორგანიზაციას და რომლებიც ასეთი სიზუსტით არიან ჩამოყალიბებულნი ახლო ხან გამოქვეყნებულ ს. ს. რ. კ. მწერალთა კავშირის წესდებაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი თავის პლენუმს შეხვდება გახახლებული შემადგენლობით. ამ დღეებში მთავრდება მწერალთა კავშირის წევრთა ხელახალი მიღება (პერერეგისტრაცია) ახალი წესდების საფუძველზე,

ჩვენი ორგანიზაცია გადაიქცა ისეთ შემოქმედებითი ძალების გამაერთიანებელ კოლექტივად, რომლის წევრები მართლა ღირსნი არიან ატარონ საბჭოთა მწერლის მაღალი სახელი, რომელთაც ეს ღირსება მართლაც დაიმსახურეს თავისი შემოქმედებითი კვალიფიკაციით და სოციალიზმის გამარჯვების საქმეში მონაწილეობით.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულმა სხდომამ აქტივთან ერთად არადამაკმაყოფილებლად სცნო კავშირის წევრთა ხელახალი მიღებისათვის გამოყოფილი კომისიის მუშაობა და მოითხოვა მისგან გადაჭრით უარყოს ამ საკითხში ლიბერალური მიდგომა და კატეგორიულად იხელმძღვანელოს წესდების მოთხოვნებით. ეს ფაქტი მოწმობს რომ საქ. საბჭოთა მწერლობის მთელი ძირითადი მასა მხარს უჭერს საკავშირო წესდების ძირითად პრინციპებს და მოითხოვს მწერალთა ორგანიზაციის განტვირთვას შემთხვევითი ელემენტებისაგან, „მოლიტერატორო" ხალხისგან, მუშათა კლასის საქმისათვის უცხო და მტრულად განწყობილ ელემენტებისაგან.

შემჭიდროებული რიგებით, ახალი შემოქმედებითი ენტუზიაზმით და უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა შეიკრიბონ საქართველოს საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ძალები ჩვენს პლენუმზე.

ღირსეულად ჩავატაროთ პლენუმი, ღირსეულად შევხვდეთ საკავშირო ყრილობას.

## განმტკიცებული რიგებით წარვსდგეთ საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობაზე

### მწერალთა კავშირში წევრების ხელახალი მიღების მიმდინარეობა.

5 ივნისს შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა. პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. **სანდრო ეულის** (მიმღებ კომისიის თავმჯდომარის) მოხსენება საბჭოთა მწერლების კავშირში წევრთა ხელახალი მიღების მიმდინარეობის შესახებ. მოხსენებამ გამოიწვია აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელიც გარდა კომისიის მუშაობის შეფასებისა, შეეხებოდა მწერალთა კავშირში წევრთა მიღების სახელმძღვანელო პრინციპებს და საერთოდ საკავშირო მწერალთა ორგანიზაციის წესდების ძირითად მომენტებს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: **მ. ტოროშელიძემ, შ. რადიანმა, მ. ჯავახიშვილმა, კ. ლორთქიფანიძემ, ტიციან ტაბიძემ, ი. მჭედლიშვილმა** და სხვ.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ წევრთა ხელახალი მიღებისათვის გამოყოფილმა კომისიამ თავის მუშაობაში სათანადოთ ვერ განახორციელა მწერალთა საკავშირო ორგანიზაციის წესდების მოთხოვნა — კავშირში მხოლოდ ნამდვილი და ღირსეული საბჭოთა მწერლების მიღების შესახებ. კომისიის მიერ კავშირის წევრად მიღებულია ბევრი ისეთი ამხანაგი, რომელთა ნაწარმოებს არა აქვთ დამოუკიდებელი მხატვრული და სამეცნიერო ღირებულება და რომელთაც ჯერ კიდევ არ დაუმსახურებიათ საბჭოთა მწერლობის მაღალი სახელი.

კამათში გამოსულ ამხანაგთა უმრავლესობის მიერ გამოთქმულ მოსაზრების მიხედვით, პრეზიდიუმმა მიმღებ კომისიის მუშაობა სცნო არადამაკმაყოფილებლად და მისცა განახლებულ კომისიას მტკიცე კონკრეტული მითითებანი შემდგომი მუშაობისათვის.

პრეზიდიუმმა გადაახალისა კომისიის შემადგენლობა. კომისიაში აირჩია ამხ. **პ. მ. საყვარელიძე** (კომისიის თავმჯდომარე) და ამხ. **გ. ბუხნიკაშვილი.** დანარჩენ წევრთა დატოვებით.

გარდა ამისა პრეზიდიუმმა დაადგინა: ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ქუთაისის მწერალთა ორგანიზაციებში მწერალთა ხელახალი მიღებისათვის ჩატარდეს წინასწარი მუშაობა ადგილობრივ.

პრეზიდიუმის დადგენილებით, მთელი მუშაობა კავშირში მწერალთა ხელახალი მისაღებად უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს 12 ივნისისა.

### მწერალთა საკავშირო ყრილობისათვის სამზადისი ადგილობრივ სალიტ. ორგანიზაციებში.

ავტონომიურ რესპუბლიკებისა და ქუთაისის სალიტერატურო ორგანიზაციებში ყრილობის სამზადისის გასაცხოველებლად ამ ორი კვირის წინათ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა მიავლინა ამხ. **ბეს. ჟღენტი,** რომელმაც ადგილობრივ მწერალთა აქტივის, ლიტწრეების წევრთა და მკითხველთა გაერთიანებულ კრებაზე გააკეთა მოხსენება მაღალი მხატვრული ხარისხისათვის ბრძოლის და სალიტერატურო ენის კულტურის საკითხებზე.

### საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს პლენუმი.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა 5 ივნისის სხდომაზე დაადგინა: 15 ივნისს საღამოს 7 საათზე, მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს გაფართოებული პლენუმი.

პლენუმმა უნდა შეაჯამოს უკანასკნელ ორი წლის მანძილზე წარმოებული მუშაობა სალიტერატურო ფრონტის ძირითად უბნებზე და დაამუშაოს მწერალთა საკავშირო ყრილობის დღის წესრიგში შეტანილი მთავარი საკითხები.

პლენუმის დღის წესრიგში შეტანილია შემდეგი მოხსენებები:

1) ამხ. **მ. ტოროშელიძის** საანგარიშო მოხსენება: „გარდაქმნის ორი წელი".

2) საბჭოთა პოეზიის შემოქმედებითი საკითხები, — მომხსენებელი ამხ. **შ. რადიანი.**

3) მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა ახალი ამოცანების სიმაღლეზე, მომხსენებელი ამხ. **დ. დემეტრაძე.**

4) ქართული პროზა სოციალისტური რეალიზმის გზაზე — მომხს. ამხ. **ბეს. ჟღენტი.**

5) ქართული საბჭოთა დრამატურგია,—მომხსენებელი ამხ. **შ. დადიანი.**

პლენუმის მუშაობაში, საბჭოთა მწერლების აქტივს გარდა, მონაწილეობას მიიღებენ პარტიული, კომკავშირული და სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პლენუმზე მოწვეული არიან ქუთაისის სალიტერატურო ორგანიზაციის, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის მწერალთა კავშირების წარმომადგენლები.

### მზადება საქარ. მწერლების კავშირის საბჭოს პლენუმისათვის.

საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა საბჭოს პლენუმისათვის მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად ქუთაისს და ავტონომიურ რესპუბლიკების სალიტერატურო ორგანიზაციებში გაგზავნა — ამხ. **ს. ეული** და **შ. რადიანი,** რომელთაც დაევალათ გამოვიდენ მოხსენებით ადგილობრივ პარტიულ და კომკავშირულ აქტივის კრებაზე ლიტერატურული ფრონტის მდგომარეობის და მწერალთა კავშირის ყრილობის ამოცანების შესახებ.

### მუშა-მკითხველთა აქტივის საქალაქო შეკრება.

უახლოეს დღეებში **საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი** იწვევს ლიტ-წრეების, ბიბლიოთეკების მუშაკთა და მუშა-მკითხველთა აქტივის საქალაქო შეკრებას პ.-მგ. პროფმუშაკებთან ერთად. საქალაქო შეკრების დღის წესრიგში დასმულია მწერალთა კავშირის მოხსენება განვლილი ორი წლის მანძილზე წარმოებულ მუშაობისა და საკავშირო მწერალთა ყრილობის ამოცანების შესახებ.

### საქ. მწერალთა კავშირის მიწვევა უკრაინის, სომხეთის და აზერბეიჯანის მწერალთა ყრილობებზე.

საქართველოს მწერალთა კავშირმა მიიღო მიწვევა უკრაინის, სომხეთის, დაღესტანის და აზერბეიჯანის ორგკომიტეტებისაგან მათ მიერ მოწვეულ მწერალთა ყრილობებზე. აზერბეიჯანსა და სომხეთში მწერალთა ყრილობები მოწვეულია 10 ივნისისათვის, უკრაინაში — უფრო გვიან.

## საქართველოს თავს

**პაოლო იაშვილი**

დაჯექ, დასწერე, დახატე
რითაც ცხოვრება ივსება,
მიეც დამშეულ ქაღალდებს
საშვილიშვილო თვისება.

გარეშე საქმეს გადარჩი:
მან ხალხი გააგულისა;
გასინჯე ცეცხლის ლადარში
სიმაგრე ლექსად თქმულისა.

ვერ ნახო სიტყვის გარეშე
სხვა მოწოდება მაღალი,
ჭანგებით იანგარიშე
ცხოვრების აყალმაყალი.

სიტყვა ტოლია ისართა:
მიზანში მოეკიდება
დასწერე როგორ იზარდა
ჩვენი თაობის დიდება

როგორ უშენდა სიმარდით
ლიახვს გამართულ ანკესებს
როგორ აივსო სიმართლით
ღარიბ ოჯახის ჭანგებზე.

დასწერე მტერთა ბანაკზე
და სიხარულზე მიწისა
ან და პოემა განაგრძე
დახვრეტილ ჯაფარიძისა.

უნდა სთქვა ხმა საკახეთო
მისი ველები გელიან,
ან ახალ თვალით გახედო
მურძაყან დადეშქელიანს:

რად იყო დასატანჯავი
დიდი წოდების პატრონი,
რისთვის გააპო ხანჯალით
რუსეთის გუბერნატორი.

დაჯექ, დასწერე, დახატე
შენთვის ულუფად ნაწესი,
ახალ თქმულებად გახადე
ამბავი სააკაძესი.

ეძგერე გულ გამწარებით
რაც სხვა ფიქრებით გართულა
ბადალ, თანატოლ პწკარებით
გვითხარ პუშკინი ქართულად.

ხალხი გელის და ფარულად
გაძლევს გაკვეთილს ვაჲიანს,
მას — შენი სიტყვის მარულა
თვალგატაცებით სწადია.

დახედე როგორ იხაროს
დამწყვდეულ სიტყვის აშვებით,
ვარდებად გადმოგიყაროს
დამზადებული ტაშები.

დაჯექ, დასწერე, დახატე
რაც ბუნებაში გელექსა,
მიეცი სარჩო არხვატელ
ფანდურზე კარგა მთქმელებსა.

ბუნებამ რომ დაარწიოს
შენი უზადლო ხელობა,
და რომ სიმღერამ გასწიოს
დროშების მაგიერობა!

რომ ლამაზ თქმაში გაშოლტო
რაც დარჩა გულის შიგნითა,
რომ ამაყობდეს სამშობლო
შენი მდიდარი წიგნითა.

ვინც ერთგულ მიწას მსახურობს
წიგნს ეცეს თვალ გამალებით,
რომ შემდეგ ტკბილად დახუჭოს
როგორც ძილისთვის თვალები.

და როცა წადილს ერგები —
წრე გაიშლება განდაგან,
შენც ხალხში დაინერგები
დაუმარცხებელ ქანდაკად.

მტერს კი დარჩება სახადათ
ძახილი დაუცხრომელი:
დაჯდა, დასწერა, დახატა
და მოკვდა როგორც მშრომელი

## უდიდესი მოვლენა

**სანდრო ახმეტელი**
რესპ. სახ. არტისტი

**ხელოვნებათა ა. კ. ოლიმპიადა წარმოადგენდა უდიდეს და უმნიშვნელოვანესს ფაქტს ამიერკავკასიის ხალხთა კულტურის განვითარების ისტორიაში.**

ახლა მთელი სიცხადით გამოირკვა, რომ თვით უმცირესი შემოქმედი — სადღაც მივარდნილ კუთხეში ჩონგურის დამკვრელი თუ უბრალო მეფანდურე გახდა საბჭოთა ხელისუფლების მხრით უღრმესი ყურადღების ობიექტი.

თუ წინად იგი თაიის პრიმიტიულ საკრავ იარაღით პრიმიტიული ცხოვრების ჭირსა და ლხინსა, მწუხარებასა და სიხარულს გამოხატავდა და ამას იგი ჩადიოდა თავისი ემოციური განწყობილების ზეგავლენით, ახლა იგი სრულუფლებიანი ხელოვანი მოქალაქეა, ახლა მას აქვს სტიმული შექმნას ხელოვნების ნიმუშები — უკლასო საზოგადოების აგების, სოციალიზმის მშენებლობის დიადი საქმის მისწრაფებით ჩაგონებულს.

ახლა იგი არის არა თავისი პირადი ინტიმიური ცხოვრების შემომქმედი, არამედ ამიერკავკასიის მშრომელთა მილიონების განწყობილებათა და მისწრაფებათა გამომხატველი.

აფხაზეთის მუსიკალური მელოდიის ჰანგები შეეხმატკბილებიან შუშის, ნუხის, ხულოს, ლენინაკანის კოლმეურნეთა ხალხური სიმღერების წარმტაც ჰანგებს და ამ დიდი პათოსით შეიქმნება ახალი გულების, ახალი ადამიანების ჰარმონია. ეს ადამიანები აქ — ოლიმპიადაზე შეხვდენ, გაეცნენ დაუძმობილდენ ერთმანეთს და გადააქციეს ეს შეხვედრა საბჭოთა ნაციონალური კულტურის უდიდეს ზეიმად და დღესასწაულად.

ამიერკავკასიის ოლიმპიადა შეიქნა დემონსტრაცია ინტერნაციონალური ძმობისა და ერთობის, რომელიც ამეტყველდება მასების შემოქმედებაში — ხალხურ შაირებსა და სიმღერებში, ცეკვაში, ინსტრუმენტალურ მუსიკაში.

ხელოვნებათა ამიერკავკასიის ოლიმპიადა, უეჭველია, უდიდეს სტიმულს მისცემს ხალხური თვითმოქმედი ხელოვნების განვითარებასა და გაშლას — ჩვენი რესპუბლიკების ყველაზე დაშორებულ კუთხეებშიც კი.

ოლიმპიადაში მონაწილეთა გამოსვლა ქალაქში სხვადასხვა ესტრადაზე



მარცხნიდან მარჯვნივ: ზუგდიდის ანსაბლი, ბაქოელი მეჭიანურე კომკავშირელები, გურული გუნდი, ხევსურული გუნდი.

# ქანდაკება XIII წლის მანძილზე



ი. ნიკოლაძე
ე. ახვლედიანი
კ. სანაძე
ნ. კანდელაკი
დ. წერეთელი
ვ. თოფურიძე

სცდებოდნენ ის მეცნიერები, რომლებიც ამბობდენ, რომ საქართველოში და მთელს კავკასიაში ქანდაკება არ იყოვო. მაგრამ ეს შეცდომა იმით აიხსნებოდა, რომ აღნიშნული დარგი შეუსწავლელი იყო; შეუსწავლელია დღესაც, თუმცა მასალა ამჟამად იმდენი არის მოძებნილი და აღმოჩენილი, რომ უკვე საჭირო ჰხდება ფართო და სერიოზული მეცნიერული კვლევის დაწყება. ამ მასალების ზერელე თვალის გადავლებითაც ნათლად მოსჩანს პლასტიკის ის ღრმა და თავისებური შეგნება, რომელიც ძველ ქართველ ოსტატებს ახასიათებდათ. საფარა, ატენი, ჯვარი და სხვა მრავალი ძეგლი საკმაოდ დიდი მნიშვნელობის ქანდაკებას გვიჩვენებენ. მაგრამ ამ ცნობილ ძეგლებს არ ჩამორჩება შემორიალურ დაფების ის წყება, რომლითაც მოკირწყლულია ძველი სასაფლაოები, ის ვერძები, ცხენები, ფრინველები და სხ... რომელთა მყარ ფორმებშიც კარგად მოსჩანს ძველი მოქანდაკეთა გემოვნების მთლიანობა და ობიექტისა თუ მასალის შინაგანი ბუნების ჩაწვდენის უნარი. ქართული პლასტიური ორნამენტი ხომ შედევრია, რომლის დახვეწილობას, ვრცეულ ფორმათა მთლიანობას თუ ინტენსიურობას ვერავინ უარყოფს. ჭედვითი პლასტიკა? ქართული ვერცხლის თუ ლითონის ოსტატობა არამც თუ არ ჩამოუვარდება ევროპის საუკეთესო ოსტატების ხელოვნებას, არამედ ბევრ შემთხვევაში სრულიად ახალ მომენტებსაც შეიტანს ამ დარგის განვითარების საერთო ისტორიაში. ხეთ-წახნაგობა? ფართო საზოგადოებამ ჯერ არ იცის, თუ რა უდიდესი ხის ქანდაკების ძეგლები ინახება ჩვენს მუზეუმებში, როგორც ტფილისში, ისე ქუთაისში. ეს ყველაფერი ჯერ შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელია. დღეს გვეძლევა საშუალება, რომ ეს საკითხი კვლევის საგნად იქცეს.

კარგახანი არის, რაც ქვისა, ლითონის და პლასტიკის ორგანიული განვითარება შესწყდა, ხოლო მთელი მე-19 საუკუნე კი, მეოცის პირველი მეხუთედის ჩათვლით, სულ უდაბნოს წარმოადგენდა.

პოლიციურმა რუსეთმა ლამის ბალახიც კი აღარ ამოიყვანა ჩვენს ნიადაგზე. ყოველ შემთხვევაში წადილი მაინც ასეთი ჰქონდა. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გახდა შესაძლებელი ძველი რეჟიმის საძირკვლის ქვების ამოყრა, სრულიად ახალი წყობილების დასადგენად. ამ განახლებასთან არის დაკავშირებული ჩვენი ხელოვნების აღორძინებაც. და იქ, სადაც ამ 20 წლის წინად რუსეთის თვითმყრობელობის „დიდების ტაძარი" თავის დაყრუებულ კედლებზე ცივად ინახავდა სისხლიან გენერლების პორტრეტებს, ან კავკასიონის დაპყრობის ბნელ ეპიზოდებს, დღეს იქ ხელოვნების ზეიმი არის გამართული, ახალგაზრდობის ნიჭი დღეს, გამოდის, და არც კი გჯერა, რომ ეს ფერებითა და მარმარილოს მღელვარებით გაჭედილი დარბაზი, სულ 13 წლისა არის; მაგრამ სულ ხომ ეს არ არის?.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო ამ გამოფენაზე ქანდაკების შედარებით სუსტად წარმოდგენა. გამოფენის ხელმძღვანელებს, ბევრი რამ გამორჩენიათ. არ არიან წარმოდგენილი: ვ. პატარიძე, ა. ვაწაძე, აბაკელია, ვ. მარქარიანი და სხ.

რასაკვირველია, ცენტრალური ადგილი სახ. მოქანდაკე **ი. ნიკოლაძეს** უჭირავს. ჩვენი მაესტრო ახალ სიტყვას არ ამბობს. იმის „ლენინის" და „ლამბარაშვილის" ბიუსტების შემდეგ ძნელი არის ახალის თქმა; ბიუსტი ჩვენის აზრით ყველაზე კარგი ბიუსტია მთელ საბჭოთა კავშირში. არ შემიძლიან დავეთანხმო პატ. მაესტროს მარქსის ფიგურის ტრაქტობაში, არც კომპოზიციის და არც ტექნიკური სტილის მხრივ. ფიგურის არქიტექტონიკა, თუ ერთი მხრივ ჩაკეტილია და ჩახვეული, მეორე მხრივ აკლია სიმტკიცე და ნაწილთა შეხამების სიმწყობრე. და მთლად ფიგურას არ ემჩნევა ის მტკიცე ხელი, ის თამამი და აქნეული მანერა, რაც ი. ნიკოლაძის ნამუშევარს ხშირად ახასიათებდა. კარგია ახალგაზრდა სტალინის ბიუსტი.

რელიეფი ყველაზე ძნელი და რთული რამ არის ქანდაკების ქვეყანაში. განსაკუთრებით ბარელიეფი რგვალი ფიგურა პირდაპირი აღქმის ამბავია, ბარელიეფი კი — არა-პირდაპირისა, აქ ძალიან ჭირვეული და ფრთხილი ოპერაციის წარმოება არის საჭირო. მოქანდაკეს არასოდეს არ უნდა ავიწყდებოდეს ის „მათემატიკური ფილოსოფია", რომელიც ბარელიეფის შექმნისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის ორი მოჩვენებითი შუშის პარალელური კედელი, რომელთა შორისაც ფიგურა უნდა ვიგულისხმოთ და ისე, რომ ეს ფიგურა სიღრმის ზომად იქცეს. ამ სიღრმის ზომაში უნდა განწესრიგდეს ფიგურის მთლიანობა, როგორც ირთიან სიბრტყის ფენობზე მოცემული სახე. რელიეფის წარმოდგენა ემყარება შორეულ სახისაგან მიღებულ შთაბეჭდილებას. ბუნება, თუ მას ახლო უცქერით, რელიეფის შთაბეჭდილებას არ იძლევა. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ერთ სიბრტყეზე უნდა მოექცეს იმდენი მაღალი წერტილი, რამდენიც შესძლებს სიბრტყის შთაბეჭდილების გამოწვევას. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ არა რელიეფს, არამედ რგვალ ფიგურას, სამად გაყოფილს სიღრმის მიმართულებით. ხოლო თუ წინა სიბრტყის წერტილები კარგად არ არის მოძებნილი, მაშინ ვიღებთ დარღვეულ ფიგურას, მთლიანობის გარეშე დარჩენილს. ეს დაემართა დიდ ნაწილს ბარელიეფებისა, რომლებიც გამოფენაზე არიან წარმოდგენილნი: **თარხან მოურავისა, მიზანდარისა, ამიროვისა, ცერცვაძისა...** შედარებით უკეთ არის შესრულებული ამ „გრამატიკის" თვალსაზრისით **გ. სესიაშვილის** რელიეფები. თუმც ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შინაგანი გამომსახველობითაც, გ. სესიაშვილის რელიეფები, და განსაკუთრებით „რევოლუცია" და „ქალი კოკით" საკმაოდ კარგად გადმოგვცემს მოქანდაკის მიერ ჩაფიქრებულ გამოცანას. „რევოლუციაში" შესაფერი კომპოზიცია არის შეკრული იმ ძლიერებისა და შეტევის გადმოსაცემად, რომელსაც თემა ჰგულისხმობს. ხელს უშლის მხოლოდ ცალკე დეტალების დამუშავების ერთფეროვანი სიმარტივე და ნაწილობრივ სილარიბეც, რის თავიდან აცილებაც ამ რელიეფს სავსებით დამთავრებულ სახეს მისცემდა. თავისი უკანასკნელი ნამუშევრით: „მიჯნის ამოგდება", გ. სესიაშვილმა ერთგვარი ხარკი მოიხადა უკვე გადაშენებულ — quasi — კონსტრუქტივიზმის წინაშე, მაგრამ ვურჩევ, ამ გზას ნუღარ გამოსცდის: მეტის-მეტად პირობითია და ყალბი. კომპოზიციურადაც აღნიშნული ნაწარმოები დარღვეულია. მთლიანი ბლოკის შთაბეჭდილებას ვერ იძლევა. აღარც არსებობის ფორმა არის და აღარც ზე-მოქმედებისა.

სუსტად არის წარმოდგენილი **ნ. კანდელაკიც.** ქალის ფიგურა ამ რვა წლის წინად გვაჩვენა გამოფენაზე და ახალი კიდევ ერთი ფიგურა მიუმატა „ბოქსიორისა". ძალიან ცოტა არის. ნ. კანდელაკს შეუძლიან კარგად მუშაობა, ამას ამტკიცებს იმისი ძერწვის ტექნიკა, მაგრამ არ უმუშავნია, რაც ნათლადა სჩანს ამ ადრინდელ და გვიანდელ ფიგურათა შედარებისაგან. წინ გადადგმული ნაბიჯი არა სჩანს. ჩვენ კი მისგან ველით ახალ და ახალ მიღწევებს. ამ მოლოდინის უფლება ოდესღაც თვითვე მოგვცა. მკრთალად არის წარმოდგენილი **ნინო წერეთელიც.** არ არის გამოფენაზე იმისი უკანასკნელი ნამუშევრები, გარდა ს. ინაშვილის ბიუსტისა, რომელიც „გრიბჯანიანის" ბიუსტთან შედარებით (კერამიკა) ბევრად ნაკლები ძალისა არის. პორტრეტის მთავარი ღირსება უნდა მდგომარეობდეს მოხაზულობის სიმკვეთრეში და ამ მოხაზულობის ფორმით ავსებაში. შინაგან სტრუქტურასა და მოძრაობის მექანიკის თავდაჭერილობაში, ინდივიდუალური აქცენტის მოძებნისა და ხასიათის მთლიანობის დადგენაში. ნინო წერეთელი ნიჭიერი მოქანდაკე არის, მაგრამ ხშირად მხოლოდ ნიჭი არა კმარა და განსაკუთრებით ქანდაკებაში, სადაც მასალის ერთფეროვნება და სილარიბე დიდმა ოსტატობამ უნდა აანაზღაუროს. დიდი ოსტატობა კი დიდი წვრთნის შედეგი არის, დიდი ჯიუტი და აუღელვებელი შრომისა.

უეჭველად ნიჭიერი მოქანდაკეები არიან **მიქატაძე და თოფურიძე,** მაგრამ ის თითო პატარა ფიგურა არა კმარა მათი მუშაობის უნარის შესაფასებლად. ერთიც და მეორეც კარგად ახერხებს ფიგურის მოძრაობის გადმოცემასა და სიმძიმის ცენტრის მოძებნას. ორივეს კარგად ემარჯვება ფიგურის მყარად დადგენა, მაგრამ ორივეს ერთგვარი გადაჭარბება ახასიათებს: მიქატაძეს ფორმების დარგვალება უტრირობამდე მიჰყავს, თოფურიძე კი სორსლებით ძერწვის ყალბ ეფექტებს ეწირება. მან ჯერ ვერ მოახერხა ძერწვის ტექნიკის სითამამემდე მიყვანა და იმ ტექნიკური სტილის მოტივთა მიგნება, რომელნიც ჰქმნიან „მასალის" მთლიანობის შთაბეჭდილებას.

აღსანიშნავია **სილ. კაკაბაძის** კომპოზიცია. უდავო არის, რომ მოქანდაკეს აქვს საკმაოდ მტკიცე ხელი და შინაგანი ფორმიანობის გაგების უნარი. მაგრამ მთლიანობის აღქმა არც აქ არის. ცალკე დეტალები კარგად არის შესრულებული, განსაკუთრებით პირუტყვი, მაგრამ მთლიანი შთაბეჭდილება ისეთი არის, თითქოს ავტორს ეს დეტალები ცალკ-ცალკე გაუკეთებია და შემდეგ უცდია მათი ერთმანეთთან მიყენება. ასეთი შთაბეჭდილება იმიტომა გვრჩება, რომ ავტორს ვერ მოუხერხებია მოძრაობის ყოველმხრივი განაწილება და ერთი განუკვეთელი მთლიანობის მოცემა. ავტორს უნდა ახსოვდეს, რომ რგვალი ქანდაკება, ცალკე ფიგურა იქნება იგი თუ ფიგურების კომპოზიცია, შთაბეჭდილებას აძლევს მხოლოდ ნაწილთა შეერთებით. ეს ერთიანობა არის ხელოვნების მთავარი პრობლემა, და მხატვრული ნაწარმოების ფასიც განისაზღვრება იმ ხარისხით, რომლითაც ეს მთლიანობა არის მიღწეული. ამ მომენტის სრული უგულებელყოფა ემჩნევა **რ. ამიროვის** ნამუშევარსაც. ჩვენ მოქანდაკეთა შორის ისეთი აზრი დადის, თითქოს ბიუსტისა და პორტრეტის გაკეთება უფრო ადვილი იყვეს და მარტივი. ეს ყალბი წარმოდგენა არის. ბიუსტი კი არა, სხეულის ცალკე ნაწილებსაც კი იმდენი ახლავთ კომპოზიციური, სიღრმისეული და განფენილობითი სირთულე, რომ ძალიან ძნელი არის იმისი თქმა, რა უფრო ადვილია, თავის გაკეთება თუ ფიგურათა კომპოზიციისა. მოძრაობის ხაზების მთლიან კვანძად შეკვრა და დაკეტილი ერთიანობის მიღწევა ყველგან თანაბრად მისაღწევია. რ. ამიროვის ბიუსტს კი ეს ნაკლი ახლავს. გრიგოლია ნიჭიერი მოქანდაკე, მაგრამ გამოფენაზე ძალიან სუსტად არის წარმოდგენილი.

გამოფენაზე წარმოდგენილი არიან სულ ახალგაზრდებიც: **მაისურაძე, ხოფერია, სიხარულიძე, კერესელიძე, ცერცვაძე, კრემერი.** ყველას ეტყობა მუშაობისა და შემოქმედების უნარი, მაგრამ ყველას აკლია ის კულტურა, რომლის ბეჭედიც ნამუშევარს პირველ შეხედვითვე უნდა ემჩნეოდეს. კარგია მაგ. მაისურაძის „ლითონის მდნობი", მაგრამ ფიგურისათვის სიმძიმის ცენტრი მოძებნილი არ არის; კარგია ხოფერიის „წითელ არმიელი", მაგრამ ცხენის დაძაბულ მოძრაობას არ ეხამება წითელ-არმიელის ტან-დაჭერა და ადგილმდებარეობა. კომპოზიციისათვის ერთი ნაბიჯით წინ უნდა იდგეს და მოძრაობა შეფარდებული ჰქონდეს. კარგია ცერცვაძის „დამშეული ჩინელები", მაგრამ ზურგთან მიკრული ბავშვის ფიგურა, რომელიც კომპოზიციურ მთლიანობისათვის არის ნავარაუდევი, წინააღმდეგ ეფექტს იძლევა, ჯგუფს შუაზე ჰყოფს, რადგან მიდგმულია. კრემერის „სამი ფიგურა", ტლანქია და მოძრაობა დანაწილებული. სუსტია სიხარულიძის ბიუსტებიც.

დაგვრჩა ერთი მოქანდაკე, რომელიც სრულიად განცალკევებითა სდგას, და რომელიც ამ გამოფენაზე ყველაზე საინტერესო მოვლენას წარმოადგენს. იმით კი არა, რომ კარგი ოსტატია, არა. თუ გნებავთ ოსტატი სულაც არ არის, ის ჯერ მოქანდაკეთ ვერ ჩაითვლება. მაგრამ მის ორ პატარა ქვაში იმდენი შესაძლებლობა არის მომწყვდეული, ისე კარგად არის მიკვლეული ქართული პლასტიკის ძირითადი ხასიათი, რომ თუ ავტორმა ამ მხრივ განავითარა თავისი მუშაობა, ძალიან საინტერესო ქვეყნის გადაშლას შესძლებს. ეს გზა მრავალ საცთურებს შეიცავს და დიდი სიფრთხილე და კულტუროსნობა არის საჭირო ამ თავისებურობის შენახვისა და განვითარებისათვის. ეს ავტორი არის **შ. მარადაშვილი.**

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ერთი ძირითადი მომენტი, რომელიც საფუძვლად უნდა ედოს მთელს ჩვენს შემოქმედებას. ეს არის ამხ. **სტალინის** ფორმულა სოციალისტური შინაარსის და ნაციონალ ფორმის შესახებ. სად არის ძიება ამ ფორმულის განსახორციელებლად? პირველი სერიოზული ნაბიჯი უკვე გადადგმულია. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა ამ ხაზით მუშაობის გაღრმავება. არსებობს უდიდესი მემკვიდრეობა, განსაკუთრებით ხალხური პლასტიკის სახით, რომელიც ჩვენი მოქანდაკეების მიერ სათანადოთ გამოყენებული არ არის, როდენისა და მაიოლის, მატვეევისა და არხიპენკოს მიბაძვა შორს ვერ წაგვიყვანს, რასაკვირველია, მათი, გამოცდილების ცოდნა საჭიროა, მაგრამ უფრო საჭირო არის ჩვენი მშრომელი ხალხის რიტმის მიგნება, იმისი პლასტიკის მიმღეობის ფორმათა დანახვა და ჩაწვდენა, რისთვისაც არსებული მემკვიდრეობა კარგად და ღრმად უნდა იყვეს შეთვისებული ჩვენი ახალგაზრდების მიერ, არც იმას ვიტყვით, რომ ეს მემკვიდრეობა იქცეს ახალი მიბაძვის საგნად. არა. იგი გამოყენებული უნდა იქნეს, მაგრამ ძლეული, რომ ძველის უბრალო გამმეორებლად არ ვიქცეთ. თანამედროვეობასთან შეფარდებით, მომავლის პერსპექტივით შთაგონებულნი, უნდა ვეძებდეთ ქართველი მშრომელი ხალხისთვის დამახასიათებელ ფორმებს, რომ ამ გზით, ჩვენი ხელოვნება და კერძოდ ქანდაკება ვაქციოთ იმ მტკიცე ძალად, რომელიც გამოადგება ჩვენს ქვეყანას იმ უდიდეს შემოქმედებითი მუშაობაში, რომელსაც ის დღეს ეწევა. ჩვენმა ახალგაზრდა მოქანდაკეებმა უნდა დაიხსომონ, რომ დღეს ოსტატობა არის საჭირო.

**ვახტანგ კოტეტიშვილი**



ლ. გუდიაშვილი
თ. აბაკელია
გ. სესიაშვილი
შ. მამალაძე
შ. მარადაშვილი
შ. მაყაშვილი

# ვასილ ბარნოვი

**სიმონ ჩიქოვანი**

ორი თვის წინათ ამ სტრიქონების ავტორმა ინახულა ვასილ ბარნოვი, უკვე ორ წელზე მეტია რაც მხცოვანი ბელეტრისტი სახლიდან არ გამოდის და ძველებურად არ ამშვენებს რუსთაველის პროსპექტს თავისი ხატობრივი გამომეტყველებით. ამიტომ ვასილ ბარნოვის გამოჩენა თავის მისაღებ ოთახში ჩემთვის აღდგენა იყო პროსპექტზე მიღებულ შთაბეჭდილებისა. გაიღო კარი და შემოვიდა ოთახში ქართული კედლის მხატვრობიდან გადმოსული მოხუცი. ბარნოვის გარეგნობის დანახვისას, მე წარმომიდგება ხოლმე ისტორიულ წარსულში ჩაკარგული ქართული მწიგნობრები და გიორგი მთაწმინდელიც ბარნოვის მსგავსად მყავს აღდგენილი პოეტურ მხედველობაში.

როდესაც მხცოვანი ბელეტრისტი მუსაიფს დაიწყებს, გაცოცხლდება ყოველი თვისება ცხოვრებით სავსე ადამიანისა და ხატობრივი იერი მის სახეს თანდათანობით შორდება. ის ხდება საკუთარ ნაწერებში მოცემულ სულიერ ფოტოსფეროზე უფრო ამ ქვეყნიური.

ეს პიროვნება ავტორია მრავალ მხატვრულ სახეების. ბელეტრისტს ბევრი აქვს დაუბეჭდავი მასალებიც და დღესაც ენერგიულად მუშაობს მხატვრული მწერლობის დარგში.

დამსახურებულ მწერლის თხზულებათა ვრცელი კრებული ჯერჯერობით თითქმის არ გამოცემულა. ცალკეულათ დაბეჭდილი რომანები და მოთხრობები ვერ იძლევა ქართული სიტყვის დამახასიათებელი ოსტატის შემოქმედების მთლიან სურათს. მწერალს დიდი მხატვრული მემკვიდრეობა რჩება და მისი შემოქმედებითი პოტენციაც იმდენათ ნაყოფიერია, რომ მეორე ქართული მწერალი მას იშვიათად შეედრება. მის კალმიდან თითქმის ათამდე რომანი ჩამოსხმულა და უფრო მეტი მოთხრობები. სიმრავლესთან ერთად ვასილ ბარნოვის შემოქმედებას ახასიათებს მხატვრული სიტყვის ოსტატობის მაღალი ხარისხი.

თავის თაობის მწერლებშიც ვასილ ბარნოვი განმარტოებით დგას.

თუ გადავხედავთ მეცხრამეტე საუკუნის მხატვრულ პროზას და მის საუკეთესო ნიმუშებს, დავინახავთ, რომ ვასილ ბარნოვს არათუ მასწავლებელი, არამედ წინამორბედიც არა ყავს მეცხრამეტე საუკუნის მწერლებში. ჩვენი ბელეტრისტი მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში მოღვაწეობს. მაგრამ მაინც არ აგრძელებს მეცხრამეტე საუკუნის მწერლობის ტრადიციებს და მათ შემოქმედებით ინერციასთან არ არის დაკავშირებული. მე-19 საუკუნის დიდ ოსტატებში იგი პოეტებთან უფრო შეხმატკბილებულია, ვიდრე პროზაიკოსებთან. თუმცა ვასილ ბარნოვი მთლიანად რომანტიკოსია, მაგრამ ვაჟა-ფშაველას პროზის რომანტიულობასთან მას არაფერი აერთებს და მეცხრამეტე საუკუნის მწერლების მიმართ ჩვენ ბელეტრისტს შემოქმედებითი პატივისცემის გარდა არაფერი არ დარჩენია. როგორც იტყვიან ვასილ ბარნოვი მამების წინააღმდეგ და ბაბუასა და პაპერების დამცველი მწერლობაში.

ამის შედეგად მხცოვან ბელეტრისტს განსაკუთრებული ადგილი უკავია დღევანდელ მწერლობის გამრავალფეროვანებულ მოედანზე. ჩვენც ამ მოკლე წერილში ვერ შევსძლებთ ვასილ ბარნოვის შემოქმედების წარმოშობის საზოგადოებრივ ძირების გახსნას და მთლიანად ვერ დავახასიათებთ მრავალფეროვან და მრავალიცხოვან მოთხრობათა წარმოშობის მიზეზებს. ვასილ ბარნოვი უსათუოდ წარსულის რომანტიკოსია ამ ცნების მემარჯვენე გაგებით. თუ ილია ჭავჭავაძეს რომანტიულ მწერლობის საუკეთესო ნიმუშად „ვეფხის ტყაოსანი" მიაჩნდა, როგორც ჩვენი მწერლობის სიჯანსაღის გამომხატველი, ვასილ ბარნოვს, ჩვენი ცხოვრების გამართლების საუკეთესო საბუთად, საქართველოს ისტორიული წარსული წარმოუდგენია.

ამისდა მიუხედავათ ვასილ ბარნოვი დიდი განძია ქართული მწერლობისა და სიტყვიერი ხელოვნების საუკეთესო ოსტატი. ბარნოვის ნაწერებში მხატვრული სიტყვის ოსტატობა მხატვრული პროზის უმაღლეს მწვერვალზე ადის. — ოსტატი უდიდესი ვირტუოზობით ფლობს ქართულ სიტყვიერ მასალას და უამრავ ქართულ სიტყვას პოეტური სიმძაფრით აცოცხლებს. სიტყვარი მწერლისა მრავალფეროვანია. ბელეტრისტს ჩაუტარებია უდიდესი შემოქმედებითი მუშაობა, რომ დაეძერწა შესანიშნავი სიტყვიერი მასალა მოთხრობებში ძვირფას ქვებად აკინძული. ბელეტრისტის სიტყვიერ მასალის კრებულში თავისი წვლილი შეუტანია საქართველოს ყოველ კუთხეს და ძველი ქართული საზოგადოების ყოველ ფენას.

ვასილ ბარნოვს შესწავლილი აქვს მთელი საქართველო და შესანიშნავად იცნობს ჩვენი ქვეყნის ზნე-ჩვეულებებს, ყოველი კუთხის დიალექტსა და ყოფა-ცხოვრებით სპეციფიურობას.

ეს ხაზი იმითაცაა საინტერესო, რომ ავტორი შესანიშნავ მოთხრობებისა სიტყვიერ მასალას ასუფთავებს, ხვეწავს და სიტყვების მარულას აწყობს მხატვრულ ნაწარმოებში.

ნახატი შალვა ბერიტაშვილის



[illegible] რისა და ხშირად არქაული სიტყვიერი მასალაც, შესატყვისია ხსენებული ნივთების გამოსახატავად და დასადგენად.

ამიტომ ვასილ ბარნოვი ლოკალურია თავის მოთხრობებში, მას ესტეტიურათ შეუთვისებია საქართველოს გეოგრაფია და ხშირად მდებარეობის ჩამოთვლით ბელეტრისტი ქმნის ერთგვარ ორკესტრს გეოგრაფიული სახელებისას. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ „ისნის ცისკარში" ქოროღლის სიმაღლიდან ტფილისზე გარშემორტყმულ ადგილების მხატვრული ჩამოთვლა.

ვასილ ბარნოვი უმთავრესად ისტორიულ რომანების ავტორად არის ჩვენში ცნობილი და მხატვრულ მეტყველების ამ დარგში ბელეტრისტმა შექმნა მთელი რიგი შესანიშნავი ნაწარმოებებისა. არ შეიძლება არ დავასახელოთ „მიმქრალი შარავანდედი", „არმაზის მსხვრევა" და დიდი ოსტატობით შესრულებული მოთხრობა „ისნის ცისკარი". ეს ნაწარმოებები, პოეტური მხატვრულობით, უდიდესი მიღწევაა ქართული პროზის და საჭიროებს სპეციალურ გამოკვლევას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი ისტორიული ფაბულის აღდგენაში ისტორიკოსის სიზუსტეს იჩენს და ჩვენ ისტორიულ წიგნებში აღნიშნულ ფაქტებს მხატვრულად ეთანაბრება. ისტორიულ ფაქტების აღდგენის დროს ავტორი, არა სოციალურ უკუღმართობის და უთანასწორობის გამოკვლევას სცდილობს, არამედ ისტორიული სახეების მხატვრულ აღდგენას ახერხებს ფერწერითი ხერხებით. „ისტორიული სახეები" მე განგებ ვახსენე, რადგან ვასილ ბარნოვი უფრო ისტორიულ სახეების მხატავია და ხსნებულ სახეების მოქმედებათა წარმოდგენითი გამხსნელი. ის უდიდესი ოსტატობით ხატავს ისტორიიდან გამოტანილ შთაბეჭდილებით შექმნილ გმირებს და მათ გატიპიურებას არ ცდილობს. ის ხატავს გმირებს ხატივით და გმირების მოქმედებას აღწერს რიტმული პროზის საშუალებით. ამიტომ ვასილ ბარნოვს ტიპები არა ყავს, მისი გმირები გმირებია აჩრდილებათ მოვლენილნი რომანში და ფრესკული მანერით შესრულებული. ფრესკულ მხატვრობაში ვასილ ბარნოვი უფრო ბიზანტიელებს უახლოვდება და მისი სახეებიც უმთავრესად აღწერილია, ვიდრე გახსნილი ფაბულის შინაგანი დრამით. ხოლო ამ ფრესკულ ხატვაში ბელეტრისტი მოძრაობასაც სტატიურად გადმოგვცემს ხოლმე. ფრესკულ ხატვაში ის ერთადერთია და ამგვარ მუშაობაში ვასილ ბარნოვს ბადალი არ ყავს ქართული პროზის ოსტატთა შორის.

როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ სახეების ფრესკულ მოხატვაში ვასილ ბარნოვი თავის გარეგნობას ეთანხმება, როგორც შემომქმედი და ხატობრივ სახეებით აღადგენს ხოლმე, ისტორიიდან პოეტური გულით გამოტანილ სახეებს.

თქმულის მიხედვით მხცოვანი ბელეტრისტი ზოგჯერ სტილიზატორიცა სჩანს, სტილიზატორი ისტორიის სურნელების აღმდგენი და დღევანდელობაში წარსულის ლამპარით მანათობელი. ზოგიერთ რომანებში სტილიზატორის მანერას ბელეტრისტი მიყავს რიტმიულ და მოზაიკურად შესრულებულ პროზამდე, რომლის საწყისებს ჩვენ ვხედავთ „ვისრამიანში" და ქართულ ძველ სასულიერო მწერლობაში.

გერონტი ქიქოძემ მოკვეთილ და საგულისხმო წერილში „ტფილისის აჩრდილები"-ს შესახებ, აღნიშნა ვასილ ბარნოვის ფილოსოფიურად განსწავლული მწერლობა და ბრძნული ჭვრეტა ისტორიის სიღრმეში. ეს დებულება უსათუოდ მართალია და ხსენებულ ნაწერებში ჩვენ ვხედავთ ისტორიულ მასალების ფილოსოფიურ აღდგენას და ჭვარტლიან დროთა მხატვრულ გაცოცხლებას. თუმცა უნდა ითთქვას, — ვასილ ბარნოვის ფილოსოფია არ არის თანადროული და ისტორიული მასალების გაშუქებაც, როგორც აღნიშნული იყო, წარსულის რომანტიზმითაა დამძიმებული.

მაინც ბარნოვი ღრმა და მრავალფეროვანი შემომქმედია თავის ნაწერებში და ახალგაზრდა მწერალმაც შეიძლება მიიღოს მისგან გაკვეთილი: თუ როგორ სიღრმით იღებს ავტორი დასახულ მასალას და რა დიდი სიყვარულით ასრულებს მას მხატვრულად. მთავარი და დამახასიათებელია ჩემის აზრით ამ ნაწერებში, ავტორის საოცარი სიყვარულია აღსაწერ მასალისადმი; ასეთი ინტიმი დასაწერი თემისა და მის გარშემო მდებარე ინვენტარისადმი ძნელად მოეპოვება რომელიმე ქართველ მწერალს. უმთავრესად ინტიმურ დამოკიდებულებაშია ავტორი მოთხრობის და რომანის დგამთან და იარაღებთან. ეს ინტიმი ასულდგმულებს გარდასულ მასალებს და რომანში ცოცხლდება აღწერილი გარემოცვა სიუჟეტისა; იარაღებისა და დგამს მხატვრული სიცოცხლე ეძლევა. აქ არის უდიდესი კონტაქტი მწერლისა და ასახატავ მასალას შორის.

ვასილ ბარნოვს უყვარს მხატვრულ პროზაში ლირიული უკან დახევებიც. ზოგიერთ ნაწარმოებში მთელ პასაჟებს გვაძლევს თეთრი ლექსივით დაწერილს. ამას გარდა ავტორი ხშირად ჩაერევა ხოლმე რომანის გმირების საქმიანობაში თავის მონოლოგით და ართულებს სიუჟეტის გაშლას. ხანდახან კი სიუჟეტიდან გმირს გაიხმობს გვერდზე და გაუმართავს მოულოდნელ დიალოგს და დიალოგის საშუალებით ხსნის გმირის თვისებებს. არის შემთხვევა, როდესაც ავტორი წაუკითხავს გმირს დაფარულ განცდებს საკუთარ მონოლოგით და გმირის საიდუმლოებას გამოამჟღავნებს მკითხველის წინაში. როგორც ჩანს ვასილ ბარნოვი მაინცადამაინც არ მისდევს სიუჟეტურ ინტრიგების გაცვეთილ გზას. წინასწარ მოფიქრებული ფაბულა და ავტორი, წერის დროს თითქო ებრძვიან ერთმანეთს და მკითხველი გრძნობს, შემოქმედებით ბრძოლის მხატვრულ შედეგებს.

ზემოთ ხსენებულ მხატვრულ ხერხებს საფუძვლად უდევს ვასილ ბარნოვის სალიტერატურო ენა. ცნობილია რომ ჩვენი მწერლობის უმრავლესობა კერძო ცხოვრებაში ლაპარაკობს სხვა ენით, ხოლო მწერლობაში მო-

# ყანჩის ფიტული

**კონსტანტინე ჭიჭინაძე**

ალარ ხმაურობს ფრთების მოკეცა,
გვერდით მეულლეც ალარ დაგიდის.
შენ საბოლოო ბინად მოგეცა
მცირეოდენი კუთხე მაგიდის.

დასცქერი წიგნებს მაღალი მზერით,
და, თითქოს თევზებს ჰგულობდე წინა,
წამოზიდულა ნისკარტის წვერი
და გაყინულა თვალების მინა.

ალბად იგონებ ლაჟვარდ განივებს
და ყელმოღერილ სიარულს ფშანში.
გინდა გაფრინდე და არ განებებს
შენ მომნუსხველი მავთული ტანში.

# ბავშობის მოგონება

**შალვა აფხაიძე**

მომენატრა ჩემი სოფელი,
დიდი საქარი, ლომის თაველი,
ჩემი ბავშობის ცხელი სიზმრები,
როცა მე ვიყავ ბრძოლის რაინდი,
შენ — დედოფალა მიუწვდომელი.

მომენატრა ჩემი სოფელი,
ორი ცაცხვის ხე
ბავშის ხსოვნაში ფუტკრად გაშლილი.
ო, როგორ მინდა ვიხილო ეხლაც
ჩემი ლურჯი ცის ერთი მტკაველი
ისევე ნაზი, ისევე წმინდა,
როგორც ცა არის ბარათაშვილის.

მიცინის თვალში მწვანე უბანი
და ყურსაც ავსებს ის სიმფონია.
დაზლაპრულ ტყიდან გამოდის მდიდრად
ლეჩაქ მოსხმული მთვარე მსუქანი,
მიძვრება სულში, ასე მგონია.

თითქოს ეს წუთი იმ წუთს შეება,
როცა თვალებით ვკრებდი ვარსკვლავებს,
პატარა ბავშის მქონდა ოცნება.
დადექი წუთო: ისევ გულალმა
გარინდული ვარ გრილ კოლინდარში
და ღამის ხავერდს ვეალერსები.

ვისმენ აწეულ მთვარის სიმღერას
შეფოთლილ ქარში
და გულს მეზრდება ჩემი სოფლის
ნედლი ფესვები.

დადექი წუთო!
მესმის ახალი ტკბილი სიმღერა
და ქარის ქროლვა,
და ვსვამ სიხარულს ძირს გადმოღვრილს
ცისა მკერდიდან.

მესმის... და ვტკბები... თუმც აღარ მოვა
ცხელი ოცნება ბავშსა რომ მზრდიდა.
ო, როგორ მინდა ვიხილო კიდევ
ჩემი ლურჯი ცის ერთი ნაჭერი,
ბავშობის მთვარე გამოსული დაზლაპრულ
ტყიდან.

# „ვარდნილი“-ს და იმის შესახებ თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს კრიტიკული წერილი

ქართულ მხატვრულ მწერლობაში საგულისხმო ძვრები, დიდი ცვლილებები და მნიშვნელოვანი გადაჯგუფებანი მოხდა საკ. ქ. პ. (ბ) ც. კ-ის 23 აპრილის, საბჭოთა მწერლობისათვის ისტორიული მნიშვნელობის, დადგენილების შემდეგ.

სერიოზულად გაიშალა მხატვრულ-ლიტერატურული შემოქმედება, იდეურ - შემოქმედებით გაიზარდა და გამდიდრდა ქართული პროლეტარული და საბჭოთა მხატვრული მწერლობა. მხატვრული სიტყვა უკვე საერთო პროლეტარული საქმის ნაწილი გახდა, იპყრობს მასობრივ მკითხველს, ახალი ამოცანების დონეზე დგება და მონდომებით ემსახურება უკლასო სოციალისტური საზოგადოების გმირული შენების საისტორიო საქმეს. მაგრამ მხატვრული მწერლობის ეს ზრდა — განვითარება, „თავისთავად“ კი არ წარმოებს! „ეს ზრდა იდეოლოგიის ფრონტზე გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში წარმოებს“ (ლ. ბერია); მწერლობის იდეურ - შემოქმედებითი ეს ამაღლება, ჩვენი პარტიის მწერლობისადმი ნამდვილი მზრუნველობის შედეგია. ასე, რომ პარტიის ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით თანდათან ძლიერდება დიდი იდეების მხატვრული მწერლობა, მაღალ მხატვრულ ფორმებში თანდათანობით ისახება სიმართლე ცხოვრების შესახებ.

ბოლშევიკი მწერლის **იაკინთე ლისაშვილის** რომანიც (**„ვარდნილი“**) იდეურ-მხატვრულად ძირითადად გამართლებულ ნაწარმოებთა ჯგუფს ეკუთვნის. მართალია, „ვარდნილი“ „ეპოქის გამკეთებელი“ წიგნი არაა, მაგრამ მიმდინარე ქართულ მწერლობაში რომელი მხატვრული ნაწარმოებია „ეპოქის გამკეთებელი“?! მართალია, „ვარდნილი“ როგორც გაზ. „კომუნისტშიც“ ავღნიშნეთ ავტორის სადებიუტო გამოსვლაა მხატვრული პროზის სარბიელზე და ამას მის შემოქმედებაში საეტაპო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ისეთი პროზაული თხრობაა, რითაც ლისაშვილმა თავი გამოამჟღავნა როგორც პროლეტარულმა პროზაიკოსმა, როგორც სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მწერალმა.

„ვარდნილში“ სათანადოთაა გაშლილი ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის; „ვარდნილი“ ქართულ მიმდინარე ლიტერატურაში პირველი რომანია ქვეყნის სოციალისტური ელექტროფიკაციის თემაზე და... ამ მხრივაცაა ის ყურადღების ღირსი. „ვარდნილი“ საზოგადოებრივი კლასებისა და ჯგუფების წარმომადგენელთა სარბიელია, პროლეტარული აქტივიზმის ფურცლები, და არა „მხატვრული“ სიყალბე პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა შესახებ, როგორც ზოგიერთ მწერალს ჩვევია და რაც ზოგიერთ კრიტიკოსს მხატვრულ ხარისხში „აყავს“.

რომანში კარგადაა მოცემული შრომის პროცესები, მუშათა კრებები (განსაკუთრებით პარტიის წმენდის სცენა), ადამიანთა საწარმო ურთიერთობა, ხასიათები. მიუხედავად პროპორციის ნაწილობრივი დარღვევისა, რომანში საერთოდ დამაკმაყოფილებლადაა წარმოდგენილი სადივერსიო აქტები, კულაკური ტერორისტული ქცევები და სხვ. მავნებლებს ნიღაბი ეგლიჯება, მავნებლური ხლართები იხსნება და ელსადგური ვადაზე ადრე ამუშავდება. მშენებლობის ორგანიზატორები ახალი ელსადგურის ასაგებად მიდიან. პარტიის ხელმძღვანელობითა და მასების აქტიობის შედეგად სოციალისტური გეგმა ბრწყინვალედ სრულდება. აი, რომანის მახვილი!

პროლეტარული საბჭოთა მწერლის გადაუდებელი ამოცანაა იბრძოლოს და შექმნას ეპოქის იდეურ სიმაღლეზე მდგომი იდეურ - მხატვრულად დასრულებული ნაწარმოები, სადაც მაღალ მხატვრულ ფორმებში ასახული იქნება სიმართლე ცხოვრების შესახებ და არა ისეთი ლირიკული თხრობა, სადაც ჩვენი მშენებლობა და ხასიათები მხოლოდ ფონი და ინვენტარი იქნება „ლირიკული სიბრძნის“ გათამაშებისათვის.

როგორ მხატვრულ ფორმებშია ასახული სიმართლე სოციალისტური მშენებლობის შესახებ „ვარდნილში“? გადაჭარბებული როდი იქნება თუ ვიტყვით — ძირითადად მისაღებ და სწორ ფორმებში. მიუხედავად იმისა, რომ რომანის ზოგიერთ თავში ფერები ზომიერად არაა განაწილებული.

„ვარდნილი“ სალიტ. ჟანრების კლასიფიკაციის მხრივ ლირიკული რომანია. ლირიკული თხრობაა ტიპიურ მოვლენებსა და ხასიათებზე, ლირიკულ ტონებშია მოცემული მშენებლობა და მშენებლობის ორგანიზატორები. ეს ლირიკული თხრობა, პირველ თავებში უფრო დამთავრებული ლირიკული ნოველების კრებულს წარმოადგენს, ვიდრე რომანს; თუმცა, ეს ნაკლი შემდეგ თავებში დაძლეულია და ნოველების ციკლი რომანის ხარისხში გადადის.

მიუხედავად იმისა, რომ „ვარდნილი“ იდეურ-მხატვრულად ძირითადად გამართლებული ნაწარმოებია, რომანის ვიწრო ადგილებად რჩება: სენტიმენტალიზმის ელემენტი და ობივატელ მკითხველისადმი ნაწილობრივი დათმობა, მაგ. ორი მავნებლის „რომანი“, რომანში მეორე ცენტრის შექმნას ცდილობს, რაც ლისაშვილის პროზაული თხრობის მხატვრულ მთლიანობასა და აღნაგობას ვნებს. რომანის სარბიელზე დასრულებული ტიპებისა და ხასიათების გვერდით მხატვრულად დაუმთავრებელი ტიპებიც მოქმედებენ. „დამხმარე თემები“ რომანში დამოუკიდებლად მოძრაობენ, რაც რომანის სუჟეტურ აღნაგობას ვნებს; ენის მხრივ რომანი ძირითადად გამართულია, თუმცა ალაგ მოიკოჭლებს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ ლისაშვილის ბელეტრისტულ საქმიანობაში „ვარდნილი“ პირველი და ავტორისათვის საეტაპო მნიშვნელობის ნაწარმოებია. ამიტომ გასაგებია ის ვიწრო ადგილებიც, რაც მის პროზაულ თხრობას ახასიათებს. მიუხედავად აღნიშნული ნაკლისა „ვარდნილი“ მიმდინარე ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთ აქტუალურ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს, ისეთ ნაწარმოებად, რასაც მასობრივი მკითხველი ინტერესით კითხულობს (მხედველობაში არა გვყავს წვრილბურჟუაზიული ესთეტიზმით ფეხმძიმე ლიტერატურის ახლოს მდგომი ელემენტები), ისეთ ნაწარმოებად, რასაც კრიტიკა მზრუნველობით უნდა მოეპყრას.

როგორი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს სალიტერატურო კრიტიკის მხრივ საბჭოთა მწერლისადმი, მით უმეტეს იმ ავტორისადმი, რომელმაც ვთქვათ მხატვრული პროზის დარგში **პირველი ნაბიჯი** გადადგა და.... ამ პირველ ნაბიჯს მოგეხსენებათ ხშირად ნაკლიც ახასიათებს. ძალზე მავნებელია, როგორც სალიტერატურო პროტექციონიზმი, ისე განიავების „პოლიტიკა“. საჭიროა ბოლშევიკური პრინციპულობის საფუძველზე ავტორისადმი მზრუნველობითი და ფრთხილი დამოკიდებულება. **სალიტერატურო კრიტიკა მწერლის შემოქმედებითი პროცესის ორგანიზატორია.** არ ვარგა ის „კრიტიკა“, რაც მხოლოდ „აქებს“, ან „აკრიტიკებს“, უკეთ მწერალს ამუშავებს. კრიტიკა ბოლშევიკური პარტიულობის ნიადაგზე მზრუნველობით უნდა ეპყრობოდეს შემოქმედს, გვიჩვენებდეს მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობას, ხაზს უსვამდეს მასში დადებითს და მისაბაძს, ობიექტურად ამხელდეს ნაკლს, საჭირო შემთხვევაში შემოქმედს „წკეპლავდეს“ კიდეც, მაგრამ უნდა ანიშნებდეს მას ნაკლის დაძლევის გზებსა და შესაძლებლობაზე.

სალიტერატურო კრიტიკის ამ მთავარი ფუნქციების გაკვრითი აღნიშვნის შემდეგ **ვ. წულუკიძის „მკითხველის შენიშვნები „ვარდნილზე“** (იხ. „სალიტ. გაზეთი“, № 8), უეჭველად ტენდენციურად მიგვაჩნია და მწერლის დამუშაობის გაუმართლებელ ცდად. იმის შემდეგ, როცა გაზ. „კომუნისტმა“ ძირითადად დადებით მხატვრულ ნაწარმოებად შეაფასა „ვარდნილი“, იმის შემდეგ, როცა მწერლების დიდმა ნაწილმა (**შ. რადიანი, შ. დუდუჩავა, გ. ნატროშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ვაკელი, ბ. ჟღენტი, ს. ჩიქოვანი** და სხ.) დადებითად შეაფასა მხატვრული პროზის დარგში ამხ. ლისაშვილის პირველი ნაბიჯი, ვ. წულუკიძის წერილი უთუოდ ტენდენციურ და უტაქტო დამოკიდებულების ფაქტად მიგვაჩნია ბოლშევიკი მწერლის მიმართ, რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ დაუმსახურებია რეცენზენტული ტლინკები.

(გარდა ამისა წულუკიძე ამხ. ლისაშვილის რომანში მთელ რიგ მომენტებს ამახინჯებს, „ვარდნილის“ „კრიტიკის“ დროს ზოგჯერ სერიოზულ პოლიტიკურ შეცდომას უშვებს, მაგ. კოლმეურნეობიდან მუშახელის „გამოსვლის“ შესახებ და სხ. მაგრამ ამაზე სხვა ადგილას.).

— სრულიადაც არ გვაწვალებს ვ. წულუკიძის მიერ დაუმსახურებლად „გაბიაბურებული“ ავტორის „დაცვის“ ვნება. დამუშავებული მწერლის საუკეთესო დამცველი მისი ლიტერატურული პროდუქციაა. მაგრამ სასარგებლოდ ვთვლით ხაზი გავუსვათ წულუკიძის შენიშვნების მწერლისადმი უგულო დამოკიდებულების ხასიათს.

საჭირო არაა მიფუჩეჩებული იქნას „ვარდნილის“ ვიწრო ადგილები, ეს უპირველეს ყოვლისა ვნებას მოუტანს ავტორის შემოქმედებით ინტერესებს; ლისაშვილის რომანის გამართლებული და ვიწრო ადგილების შესახებ კიდევ დაიწერება, მაგრამ საკითხავია რატომ დაჭირდა წულუკიძეს ბოლშევიკი მწერლის „დარბევა“! ამითი რა სარგებლობა მოუტანა მან ქართულ საბჭოთა მწერლობას?!.

იქნება შენიშვნების „ავტორი“ ლისაშვილის შემოქმედებაში ვიწრო ადგილებს და ნაკლს ებრძვის? თუ ეს ასეა, მაშინ შენიშვნების ავტორი მისალმების ღირსია, მაგრამ.... უბედურება ისაა, რომ **ვ. წულუკიძე ვიწრო ადგილების წინააღმდეგ ბრძოლის ფსევდონიმით ბოლშევიკი მწერლის ლიტერატურულ დისკრეტიზაციას შეეცადა**; იგი ლიტერატურაში ნაკლის წინააღმდეგ „ბრძოლას“ წვრილბურჟუაზიული **ესთეტიზმის** უკვე დანგრეული „პოზიციებიდან“ აწარმოებს. მართალია, ეს დისკრედიტაციის ცდა ცდად დარჩა, მაგრამ ფაქტად კი — მწერლისადმი უტაქტო დამოკიდებულების ნიმუში.

ნუთუ ლისაშვილის „ვარდნილი“ მხოლოდ და მხოლოდ ნაკლთა თავმოყრაა და, მეტი არაფერი? ნუთუ უკვე ჩამოთვლილი მწერლების რიგი ბრმად აფასებდა „ვარდნილს“? ნუთუ ბოლშევიკური პრესა მხატვრული გემოვნების მხრივ დაბლა დგას ვ. წულუკიძეზე, როცა პრესამ „ვარდნილი“ მისაღებ პროზაულ თხრობად ჩათვალა?! როგორ დავიჯეროთ, რომ „ვარდნილში“ თუნდაც ერთ ნათელ მომენტსა და ხაზს არა აქვს ადგილი?!

რისი მაჩვენებელია ვ. წულუკიძის აღნიშნული გამოსვლა? უპირველეს ყოვლისა, ბოლშევიკი მწერლისადმი ზერელე და გაუფრთხილებელი დამოკიდებულების, საერთოდ-კი საბჭოთა მწერლისადმი უსულგულო დამოკიდებულებაზე.

ლისაშვილის რომანს, რასაკვირველია, ნაკლი ახასიათებს; ამას არ ვმალავთ, რადგან ნაკლის მიჩქმალვა უპირველეს ყოვლისა თითონ მწერალს მოუსპობს გავითარების შესაძლებლობას. მაგრამ ნაკლი ერთი მხარეა, ნაწარმოების ერთი თითის მოსმით უმართებულოდ „დარბევა“—„მეორე! „დამრბევ“ წერილებს გზა უნდა შეეკრას. ამას მოითხოვს საბჭოთა მწერლობის შემდგომი განვითარების საარსებო ინტერესები.

**ვ. ლუარსამიძე.**

...არჯვებული აქვს სრულიად სხვა ლიტერატურული მეტყველება. ხშირად მწერლის მხატვრული პროდუქცია სხვა ენით მეტყველებს და ავტორის ბუნებრივ ენასთან ცოტა აქვს საერთო. ჩვენ არ ვლაპარაკობთ—მწერალი უნდა სწერდეს ისე, როგორც ლაპარაკობს, მაგრამ უნდა იყოს ბუნებრივ მეტყველებასა და მწერლობაში აღნაგებულ სიტყვიერ მასალას შორის ერთგვარი ნათესაობა. საკუთარი საბაასო ენა მწერალმა უნდა აიყვანოს მხატვრული ლიტერატურის სიმაღლემდე.

ვასილ ბარნოვი კი ისე ლაპარაკობს კერძო ცხოვრებაში, როგორც წერს და მის სასაუბრო ენასა და მის მწერლობის ენობრივ მეტყველებას შორის სრული კონტაქტია. ამიტომ ავტორის ლიტერატურულ-მხატვრულ პროდუქციას არსად არ დაკრავს ცრუ კლასიციზმის იერი ან ზედმეტი სტილიზაციის ხასიათი. მართალია ავტორი რიტმიულ პროზის დამუშავებაში ხანდახან უკიდურესობამდე მიდის, და მთლიან სიუჟეტურ მოხაზვას ნელებს რიტმიული გაქანებით. ვასილ ბარნოვის საუკეთესო ნაწერებში ლიტერატურული ენა მაინც სანიმუშოა და ბევრი რამ შეიძლება ისწავლოს მისგან ახალგაზრდა მწერალმა.

რასაკვირველია თანამედროვე მწერლობა არ გაიზიარებს ვასილ ბარნოვის არქაიზმს, რომელიც შედეგია მისი პოეტური კონცეპციის და საერთოდ ბარნოვის ფილოსოფიის. ისტორიულ მასალებზე მუშაობამ ჩაუნერგა ავტორს ზემოთხსენებული სიტყვიერი მასალა. მწერლის კონცეპციისა და ისტორიულ მასალების შეხვედრაში მოხდა ფორმაცია ვასილ ბარნოვის მხატვრულ შემოქმედებისა.

თანამედროვე მწერალს შეუძლია მიაქციოს ყურადღება ბელეტრისტის სიტყვიერ მასალას, ...ქის და ფრთხილ დამოკიდებულებას სიტყვისადმი და ასაწერ მასალის ზუსტ ცოდნას. ...ოთვლილ თვისებებს ვასილ ბარნოვი აყავს ქართული სიტყვის ოსტატობის მაღალ საფეხურზე.

როდესაც ავტორი სოფლის თემატიკას ეხება, მისი სალიტერატურო ენაც უბრალოვდება და შესატყვისი ხდება აღებულ თემის. ყოველივე ამის გამო ვასილ ბარნოვი შესასწავლი მწერალია თანამედროვეებისათვის. ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ უნდა მიაქციოს მეტი ყურადღება მის ნაწერების შესწავლას. ბელეტრისტის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ისტორიულ და ყოფაცხოვრებით მოთხრობებს. ყოფა-ცხოვრებით მოთხრობები ...ნი ცხოვრების ომის წინანდელ პერიოდს ხატავს ქალაქისა და სოფლის ფონზე. ამ მხრივ აღსანიშნავია „თებერას დანიშნული“ და „ვერცხლით სნეულნი“. ამ მოთხრობებში სოციალური საკითხების დასმა სცადა ავტორმა და საკმაო მძაფრად დაგვიხატა „თებერას დანიშნულში“ სოფლის ცრუმორწმუნეობის შედეგები და მხატვრულად ძლიერი დახვეწილ ყალმით დაამუშავა მოთხრობაში მოცემული სურათები. საერთოდ ვასილ ბარნოვისთვის დამახასიათებელია ცალკეულ სცენების კომპოზიციებში გამოხატვა მოთხრობის მთავარი გმირისა. „ვერცხლით სნეულში“ მოცემულია ომამდე არსებულ სამღვდელოების ჩარჩული ინსტიქტები. ეს და ზოგიერთი სხვა მოთხრობაც შორეულად ენათესავება შესრულების მხრივ ლესკოვის ზოგიერთ მოთხრობებს. მხატვრული ღირებულებით კი „ვერცხლით სნეულნი“ ლესკოვის მოთხრობებს არათუ ჩამორჩება, არამედ შეიძლება კიდეც აღემატება მათ. ასეთივე მოთხრობების მთელი გალერეაა ბელეტრისტის მიერ შექმნილი და შემდეგ გადავდივართ ისტორიულ ხასიათის მოთხრობებზე და რომანებზე, სადაც მთავარი ადგილი უკავია „მიმქრალ შარავანდედს,“ „არმაზის მსხვრევას“ და „თამარ მრწემ“-ს. ეს უკანასკნელიც შესანიშნავი ნიმუშია ისტორიული გმირების ფრესკული გადმოცემისა. ავტორი აქაც ახერხებს წარსულის სახეების მხატვრულ სტილიზაციას და თავისებური ძლიერი ყალმით ცდილობს აღადგინოს ისტორიიდან მიღებული მხატვრული შთაბეჭდილება. რომან „თამარ მრწემში“ გამოირჩევა მხატვრული აღწერილობით „ქეიფი“ და „ნადირობა“. ნახსენებ სცენების აღწერაში ავტორი იჩენს უდიდეს ოსტატობას და უთანასწორდება „მიმქრალი შარავანდედი“-ს მხატვრულ ღირებულებას.

დღეს, როდესაც მწერლობაში მწვავედ დგას საკითხი მაღალხარისხოვან მხატვრული ლიტერატურის შექმნისა, ვასილ ბარნოვის თხზულებათა გამოცემას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ახალი თაობისათვის. ახალგაზრდა მწერლებს შეუძლია მიიღონ გაკვეთილი ვასილ ბარნოვის ნაწერებიდან, თუ როგორ ოსტატობით და თემისადმი სიყვარულით შესრულებულია ყოველი მოთხრობა ჩვენი მხცოვანი მწერლისა.

ვასილ ბარნოვი მართლაც პროფესიონალური ბელეტრისტია და თავის ხელის დაუძლურებას ის მწერლობის შედეგად სთვლის. „პროფესიონალური ავადმყოფობა“ იტყვის ხოლმე ჩვენი ბელეტრისტი. მაგრამ დასუსტებული მკლავები არაფერს უშლის მის ჯანსაღ და მხატვრული ფანტაზიით სავსე გონებას. ვასილ ბარნოვი ავადმყოფობის დროსაც კარნახობს თავის ქალიშვილს რომანის სიუჟეტს და თხზავს ახალ და ახალ სახეებს ყოველ დღიურად.

# პროტექციონიზმის წინააღმდეგ ლიტერატურაში

**ვ. ლუარსამიძის** წერილი არ არის უსარგებლო და მნიშვნელობას მოკლებული. იგი თვალსაჩინო გაკვეთილს და მკაფიო წარმოდგენას მიცემს მკითხველს იმაზე, თუ რას ეწოდება ნამდვილი ლიტერატურული პროტექციონიზმი.

ჩვენ წამოვაყენეთ გარკვეული დებულება: „ვარდნილში“ ლისაშვილმა ვერ გადაჭრა დასახული ამოცანა — ჩვენი სინამდვილის მდიდარი მასალა ვერ აქცია მხატვრულ ფაქტად. უფრო მეტი: აუხვია რა გვერდი ფაქტიური მასალის შესწავლას, „ვარდნილის“ ავტორმა გააყალბა სინამდვილე: მოგვცა უსიცოცხლო ადამიანები — ტექნიკური ინტელიგენციის უვიცი წარმომადგენელნი და ასევე უუნარო პარტიული მუშაკები.

თუ ვ. ლუარსამიძეს სურდა გაებათილებია ეს დებულება, მას უნდა დაემტკიცებია, რომ ინჟინერები — კაკაბაძე, გალაძე, ფახაძე, არიან მავნებლების ის ტიპიური წარმომადგენლები, რომელთაც კლასთა ბრძოლის განვლილ ეტაპზე ვხვდებოდით, ხოლო ქვაკირელი და მისი თანამებრძოლნი არიან იმ პარტიულ მუშაკთა ტიპები, რომელნიც პარტიის დავალებით სოციალისტური მშენებლობის ცალკე უბნებს ხელმძღვანელობდნენ.

მაგრამ, ალბათ ვ. ლუარსამიძეს სალმა მოსაზრებამ უკარნახა ამ გზას არ დადგომოდა და მან აირჩია ისევ დაკმაყოფილებოდა ლიყო ასეთი ზოგადი განცხადებებით:

„ბოლშევიკი მწერლის იაკინთე ლისაშვილის რომანი **ძირითადად** გამართლებულ ნაწარმოებთა ჯგუფს ეკუთვნის“, „ვარდნილში“ **სათანადოდაა** გაშლილი ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის“, „ვარდნილი“ ქართულ მიმდინარე ლიტერატურაში პირველი რომანია ქვეყნის სოციალისტური ელექტროფიკაციის თემაზე“, „სიმართლე სოციალისტური მშენებლობის შესახებ **ძირითადად** მისაღებ და სწორ ფორმებშია ასახული“, „ვარდნილი“ მიმდინარე ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთ აქტუალურ ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს“, „ვარდნილი“ იდეურად და მხატვრულად **ძირითადად** გამართლებული ნაწარმოებია“.

აი ასეთია ვ. ლუარსამიძის „უაღრესად კონკრეტული კრიტიკა“. „შემოქმედებითი პროცესის ორგანიზატორი“ — ვ. ლუარსამიძე, მოყავს რა მას „ვარდნილის“ ზოგიერთი სუსტი მხარე, მოითხოვს მკითხველისაგან აპატიოს ი. ლისაშვილს მისი რომანის „ვიწრო ადგილები“ იმ მოსაზრებებით, რომ:

1) ი. ლისაშვილი არის ბოლშევიკი მწერალი („ბოლშევიკ მწერლის ლისაშვილის რომანი“ „ბოლშევიკ მწერლის დარბევა“, „ბოლშევიკ მწერლისადმი ზერელე და გაუფრთხილებელი დამოკიდებულება“);

2) „ვარდნილი“ ავტორის სადებიუტო გამოსვლაა“, „მას ავტორის შემოქმედებაში საეტაპო მნიშვნელობა აქვს“, რომ „ლისაშვილი ამ რომანით მხატვრული პროზის დარგში პირველ ნაბიჯს **დგამს**“;

3) „ვარდნილი“ ქართულ მიმდინარე ლიტერატურაში პირველი რომანია ქვეყნის სოციალისტური რეკონსტრუქციის თემაზე;

4) მწერლების დიდმა ნაწილმა დადებითად შეაფასა მხატვრული პროზის დარგში ი. ლისაშვილის პირველი ნაბიჯი.

ვერც ერთს ამ მოსაზრებას მკითხველი ანგარიშში ვერ გაუწევს, რადგან:

1) მკითხველი ბოლშევიკ მწერლისაგან მწერლობაშიაც მოითხოვს ბოლშევიკობას, ე. ი. მოითხოვს იმ თვისებას, რომელიც უნდა ახასიათებდეს ყოველ კომუნისტს, რა სფეროშიაც არ უნდა მუშაობდეს იგი, მოითხოვს **მოწინავეობას, ავანგარდობას**, რაც, მწერლობაში იმას ნიშნავს, რომ ბოლშევიკი მწერალი იბრძოდეს **ღრმა იდეურობისა და მაღალი მხატვრული ხარისხისათვის**. ბოლშევიკობა კი **არ ხსნის**, არამედ **აძლიერებს** პასუხისმგებლობას, ი. ლისაშვილმა ვერ დაგვანახვა ეს პასუხისმგებლობა: — არ შეისწავლა მასალა იმ თემის დასამუშავებლად, რომლის მხატვრულ გაფორმებასაც ხელი მოჰკიდა. ამით მან დაამდაბლა თავისი ნაწარმოების იდეურ - მხატვრული ხარისხი. მხატვრულ ღირსებას რომ თავი დავანებოთ, ერთი რამ მაინც სავალდებულოა ბოლშევიკ მწერლისათვის, სახელდობრ ის, რომ ბოლშევიკმა მწერალმა სწორი ორიენტაცია უნდა მისცეს მკითხველებს პოლიტიკურ ვითარებაზე, პარტიის მიმდინარე პოლიტიკაზე, მის პრაქტიკულ მუშაობაზე. ი. ლისაშვილი ვერ ასრულებს ამ ვალდებულებასაც, რაც ჩანს თუნდაც მარტო იმ ფაქტიდან, რომ თავის რომანში იგი ისე გვიხატავს მდგომარეობას, თითქოს მთლიანი კოლექტივიზაცია აფერხებდეს მშენებლობისათვის მუშა - ხელის გეგმიან ორგანიზაციას. — **„თვით ქვაკირელი, თემ-აღმასკომის თავმჯდომარე, გედეონ ხეველი და თემკომის პასუხისმგებელი მდივანი სერგო სალაძე მიემხრენ იმ აზრს, რათა ჯერჯერობით მთლიანი კოლექტივიზაცია გადადებულიყო განსაკუთრებული პირობების გამო“, ვინაიდან „ეს მდგომარეობა** (ე. ი. მთლიანი კოლექტივიზაცია — ვ. წ.) **მეტისმეტად სერიოზულ საფრთხეს უმზადებდა ვარდნილის მშენებლობას მუშა - ხელის სიმცირის გამო“**. (იხ. გვ. 93 — 94).

ეს არის სასოფლო პოლიტიკის ის ძირითადი საკითხი, რომლის უცოდინარობას პარტია არ აპატიებს არც ერთ თავის წევრს. მით უმეტეს იგი არ შეიძლება ეპატიოს ბოლშევიკ მწერალს — ადამიანის სულის მშენებელს, რომლის ნაწარმოები კონსულტაციას უნდა აძლევდეს და დახმარებას უწევდეს მასებს ყოველდღიურ მუშაობაში და ზრდიდეს მათ სოციალისტურად. ამას მოითხოვს **მ. გორკი** არა მარტო პარტიულ, არამედ ყოველ უპარტიო საბჭოთა მწერლისაგან. ნუთუ ამის აღნიშვნა მწერლის „დამუშავების გაუმართლებელი ცდაა“ ან სერიოზული პოლიტიკური შეცდომა; ვფიქრობ, შეცდომა ამის მხილება კი არ არის, არამედ მწერლის ასეთი შეცდომისათვის ხელის დაფარება და უსაფუძვლო გამოქომაგება. ასეთი შეცდომები იძლევიან საბაბს, რომ ნაწარმოებმა თავის თავი თვითონვე დაარბიოს. ბოლშევიკ მწერლის დარბევას წულუკიძე კი არ ახდენს, არამედ „ვარდნილის“ ავტორი.

2) მკითხველი ვერ გაამართლებს, ვერ მიიღებს სუსტ ნაწარმოებს, ვერც იმ მოსაზრებით, რომ იგი სადებიუტო ნაწარმოებია, სწორედ ისე, როგორც არც ერთი მომხმარებელი არ იყიდის წუნიან საქონელს — იმ მოსაზრებით, რომ იგი რომელიმე მუშა-შეგირდის სადებიუტო ნაწარმოებია.

3) შეიძლება თუ არა მკითხველმა „ვარდნილის“ ღირსებად ჩასთვალოს ის, რომ იგი პირველი რომანია ქვეყნის სოციალისტური ელექტროფიკაციის თემაზე? არავითარ შემთხვევაში. საქმე მარტო ის კი არ არის, თუ ვინ ვის დაასწრებს ამა თუ იმ თემაზე დაწერას, არამედ ისიც, თუ ვინ **როგორ** დასწერს. ჩვენ ცხოვრებაში — სოციალისტურ მშენებლობაში — მრავალი აქტუალური თემაა. მაგრამ ყველას **არ შეუძლია ამ თემების მხატვრული დაძლევა.** არსებობენ პასუხისმგებელი და უპასუხისმგებლო მწერლები. ზოგიერთი მწერალი ეტანება ე. წ. დიდ თემებს, რადგან ამ თემების ბუმბერაზობით და დიდი პოპულარობით სურთ ფონს გავიდენ; ფონს ვერ გადიან, კარგს, საინტერესო თემებს და იდეებს კი მკითხველ მასებში სახელს უტეხენ. არ არსებობს ჩვენი თანამედროვეობის, სოციალისტური მშენებლობის არც ერთი კუნჭული, რომლის ასახვა არ შეიძლებოდეს სოციალისტური თვალსაზრისით. მწერალმა უნდა წეროს მხოლოდ იმაზე, რასაც ყოველმხრივ იცნობს და, რაც განუცდია; მწერალმა არ უნდა მოკიდოს ხელი მას, რაც არ იცის. ეს ანბანია. განა სოციალიზმი მარტო ელსადგურებზე შენდება? იგი შენდება სტამბაში, სადაც თქვენი წიგნი იბეჭდება, იგი შენდება ქუჩებში, სადაც თქვენ ყოველდღე დადიხართ, იგი შენდება სამზარეულოში, სადაც შინამოსამსახურე სწავლობს პოლიტანბანს თავისი საქმის დამთავრების შემდეგ, იგი შენდება ტრამვაიში, გაზეთების რედაქციებში, სკოლებსა და საავადმყოფოებში — ყველგან, ყოველ კუნჭულში ხორციელდება სოციალიზმი იმ დიდი გეგმის მიხედვით, რომლის მსგავსი არ მოსწრებია კაცობრიობის ისტორიას. რატომ ეს კუნჭულები არ უნდა მოგვცეს საბჭოთა მწერალმა და მაინდამაინც გამოეკიდოს ელსადგურებს, რომელიც მას არ უნახავს და არ შეუსწავლია?

თანამედროვე თემატიკის დაძლევისა და ათვისებისათვის პირველ პირობას წარმოადგენს არა უცხო ამბებისა და განცდების გამოდევნება, არამედ ღრმა სერიოზული დამოკიდებულება მწერლისა იმ სფეროსა და საკითხებისადმი, რომელიც მწერლისათვის უფრო ახლობელი, უფრო თვალსაჩინო და გასაგებია. უდავოა, რომ მწერალი უკეთ აითვისებს ნაცნობ გარემოს და ამ გარემოს მასალაზე მოგვცემს ნამდვილ ხელოვნებას. ეს ოდნავ არ ნიშნავს იმას, რომ მწერალმა არ გამოიცვალოს თემატიკა და ხელი არ მოკიდოს მშენებლობის თემებს. ერთიც და მეორეც აუცილებელია, რადგან ეს აფართოებს მწერლის თვალთახედვას და მის მიერ სოციალიზმის ამოცანების გაგებას; მაგრამ ამ გაფართოებას თან უნდა სდევდეს სიღრმე, მას წინ უნდა უძღოდეს ცხოვრების შუაგულში შეჭრა. მთავარია აქტუალურ თანამედროვე თემაზე მუშაობის გაღრმავება. საჭიროა სიღრმეში შესვლა იმდენად, რომ ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, კლასობრივი ბრძოლა სწორად იქნას დანახული და განცდილი წინად მიღებულ გამოცდილების საფუძველზე. ი. ლისაშვილმა საინტერესო თემას მოკიდა ხელი, მაგრამ მის დასამუშავებლად საჭირო მასალის ღრმა შესწავლას, როგორც ჩანს, გვერდი აუხვია.

4) ვერ მოიწონებს „ვარდნილს“ მკითხველი მხოლოდ იმიტომ, რომ მის იდეურ, მხატვრულ ღირსებაზე თითქოს დადებითი აზრი გამოთქვა მწერლების ერთმა ნაწილმა; მით უმეტეს მას ვერ მოიწონებს ის მკითხველი, რომელმაც ჩინებულად იცის, რომ „ვარდნილის“ წინასიტყვაობაში მოყვანილი ზოგიერთი მწერლის აზრი გამოითქვა არა „ვარდნილზე“ მთლიანად, არამედ მის ზოგიერთ ნაწყვეტზე, რომელიც ავტორმა წაუკითხა მწერალთა ერთ ჯგუფს; წინასიტყვაობაში კი ეს აზრები შეტანილი იქნა, როგორც მთლიანი ნაწარმოების დასრულებული და საბოლოო შეფასება. ეს შეფასებაც უაღრესად ზოგადი და არაკონკრეტულია.

მკითხველს მოეხსენება, რომ თ. გლადკოვმა დაწერა დიდი რომანი „ენერგია“ ელექტრომშენებლობის თემაზე. იგი წელიწადნახევარი ფეხმოუცვლელად ცხოვრობდა,

(დასასრული იხ. მე-4 გვერდზე)

# ცხვართან და მწყემსთან სამგორის ველზე

გამარჯობა შენი, მწყემსო-ბიჭო, შაქრო!

ლევან ასათიანი

[illegible]

ტილა ჩვენი ქვეყნის ბედი ხან წალმა, ხან უკულმა. რამდენჯერ უქელიათ ეს ველები მაკიდონიისა და სპარსეთის, არაბეთისა და ოსმალეთის ძლევამოსილ ჯარებს! რამდენჯერ მდგარან აქ, ქვეყნის სადარაჯოზე მშვიდობა-დაკარგული მხედრები ქართველებისა!

— ბალახი რომ ამოდიოდეს იმ ფერისა, რა ფერითაც ირწყვება, მაშინ ეს ველები წითლად უნდა ელავდენ აქ დაღვრილი სისხლის გამო საუკუნეთა განმავლობაში. ისტორია რომ იწერებოდეს მიწაზე, მაშინ რამდენ გმირულ ფურცლებს გადაგვიშლიდენ ეს მინდვრები! მაგრამ მაინც ყველაზე ლამაზ ფურცლად ის მეჩვენება, რომელსაც ვკითხულობ აგერ ახლა შენთან ერთად მწყემსო-ბიჭო, შავ-კისერა შაქრო!

თანამედროვე ისტორიას, სოციალისტურ მშენებლობის ისტორიას ეკუთვნის ეს ლამაზი ფურცელი:

სამგორის ველებს „შვიდ მაისის“ ჟუჟუნა წვიმის ხელშეწყობით გულუხვად გაუშლიათ მწვანეზედ მწვანე სუფრა. აქ ისვენებს ცხვარიც, მწყემსიც, ძაღლიც და შემდეგ ისევ განაგრძობენ გზას ჯავახეთის საძოვრებისაკენ.

ჩემო შაქრო! შენ ახლა შენი ცხვრის დარდი უფრო გაწუხებს ვიდრე შენი ცოლშვილისა. ელდარიდან ჯავახეთამდე, დილიდან საღამომდე შენ ერთად-ერთი საზრუნავი გაქვს: ცხვარი არ დაგიმჭლევდეს, არ დაჰკარგო, არ მოგიკვდეს. შენ გადაწყვეტილი გაქვს — თვითეულ პატარა ცხვარზე საბჭოებს ჩააბარო ათი ლიტრი რძე. შენ შენი ფარის წითელ დავთარს შვილივით ჩახუტებულს ატარებ უბეში და გეშინია, იქ სათაკილო ანგარიში არ ჩაიწეროს საბჭოთა მწყემსზე.

ამ ფიქრებითა და მზრუნველობით გატაცებული შენ ველარცკი ამჩნევ ლამაზ სურათებს, რომლებიც ცოცხლად იქარგებიან შენს ირგვლივ ბუნების წიაღში. მე კი აი ეს ფარები — მწვანე ხავერდზე მუჭით დაბნეულ მარგალიტებს მომაგონებენ და ვერა ვძღები იმათი ცქერით.

მწყემსის ავკარგიანობაზე თვითონ ცხვარი ლაპარაკობს ყველა დავთარზე მჭერმეტყველურად. აგერ შევხვდა ვილაცის ფარა. დედა-ცხვრები მაძღრისად გამოიყურებიან. თამამი ბატკნები ყელმოღერებით დახტიან. ეტყობა შერჩეული საძოვარი არ აკლიათ.

მეზობლად მეორე ფარა სულ სხვა იერს ატარებს. ბევრ ცხვარს ფერდებზე მატყლი შემოფცქვნია ნარეკალებში ხეტიალის გამო. ტანმომცრო ბატკნებიც ვერ შეჰხარიან მინდორსა და მზეს პირველებივით. ვერა ყოფილა თავმომწონე იმათი მწყემსი, თორემ ფარაც თავმომწონე ეყოლებოდა.

ჰაერში გამოჩნდა ხუთი ფრინველი. მე ჰაეროპლანები მგონია და აღარც ვუცქერი გაკვირვებით. მოახლოვდენ — სვავები გამოდგენ. ეხლა კი გაკვირვებით მივჩერებივარ: დიდი ქალაქის მახლობლად ნუთუ კიდევ დაჰქრიან ასეთი მიუდგომელი ფრინველები!

აღარ მაკვირვებს ჰაეროპლანი. მაკვირვებს სვავი.

პირველი უკვე ჩვეულებრივი ამბავია. მეორე კი იშვიათად გადაქცეული.

ჰეი, მსუნაგო ფრინველებო! რას დასტრია-

[illegible]



დამკვრელი მწყემსი

ხთით კოტრიალებდა პატარა ტუგო და სიყვარულით გილღნიდა ქალამნიან ფეხს.

მე კისერში ხელი წავავლე, გაგელაქუცე. მაინც არ შემომხედე. მაგრამ აგერ დაინახე ფერმის გამგე — წიგნებით ხელში და თვალებშიც აგენთო ცეცხლი. შენ დაურიდებლად ეხვეწები, მომეცი ერთი წიგნიო. დიდი ამხანაგი კი არ გითმობს: შენ სხვა ფერმისა ხარო. მე გამოგესარჩლე შენ, წიგნების მწყურვალე ბიჭიკოს და ამხანაგმაც დაგითმო ერთი. შენ მაშინათვე დაღუნე თავი და შეუდექი კითხვას. კარგახანს გიცქეროდი შენ — იმ წიგნისავით მოკუნტულს. ამ უშველებელ მწვანე მინდორზე ცხვრებთან ერთად გიხდებოდა წიგნის კითხვა — პატარა ბატკანივით რომ გადაგეწვინა პატარა მუხლზე. ამასთან ერთად გიხდებოდა კალთაში ჩაკეცილი შოლტიც, წელზე ხანჯალა დანაც, ფეხებთან მოკოტრიალე პატარა ლეკვიც. მე ვიყავ მეტი შენთვის და მოგშორდი კიდეც.

## წითელ დავთარში — ცხვართან ერთად!

მირბის შიშით დაპატარავებული პატარა ტუგოა. უკან დამუქრებით მისდევს მგელისოდენა ოთხი მურა.

— ვაი საწყალი! თუ დაიჭირეს სულ გასწიწკნიან.

შაქრო მარტყოფელაშვილი მშვიდათ უცქერის. იღიმება კიდეც.

— ის ჩემი ლეკვია, ის სავარმე. ხურჯინში იჯდა და გამოჰპარვიათ.

— მერე, რატომ არ ეშველები? თუ დაიჭირეს, ხო დაალრჩობენ!

— არა! რო დაეწევიან და ნახავენ — ლეკვია, თავს არ გაუყადრებენ.

აგერ დაეწიენ კიდეც მურიები. ნახეს, რა „ვაჟკაცთანაც“ ჰქონდათ საქმე და თავი აღარ გაუყადრეს მართლა. შერცხვენილებივით მძიმედ გამობრუნდენ უკან. ლეკვმა კი მშვიდად განაგრძო გზა. აღარ სჭირდება ბრძოლის ველიდან დაოთხით უკუქცევა.

მეც კი ვიცოდი, მგელთან მებრძოლი ძაღლები ლეკვს თავს არ გაუყადრებდენ, მაგრამ მაინც შემეშინდა: დევნაში თავდავიწყებულებს ვაი თუ აღარ გაეღვიძოთ ეს რაინდული თვისება მეთქი.

კაი ძაღლი — კაი ამხანაგია, კაი ძმაა ცხვარში. შაქრო-ბიჭი მიამბობს, თუ ერთხელ ღამიან როგორ გაეპარა მას ათიოდე ცხვარი. მაგრამ ვერ გაეპარენ მურიებს: ისინი გადაწყვეტილ ცხვარს თან გაჰყოლოდენ და არ აძლევდენ ნებას — შორს წასულიყვენ. განთიადზე მიეგნო შაქროს დაკარგული ცხვრისთვის, რომელსაც თვითდატვირთვის წესით ერთგულად სდარაჯობდენ მურიები.

ბიძაჩემსაც ჰყავდა ცხვარი. ჰყავდა ერთგული მურიებიც. ერთ მურიას ურემმა გადაუარა და ფეხი მოსტეხა. ამ დანადებაზე ბიძაჩემს ცხვარის გარეკაც მოუხდა მთაზე. ფეხმოტეხილი მურია ბოსელში შეამწყვდიეს, რომ გული არ დასწყვეტოდა ცხვრის წასვლაზე. ბოსლიდან გამოუშვეს მხოლოდ მეორე დღეს და იმ წუთიდან კიდევაც დაიკარგა მურია. შემდეგ გავიგეთ, რომ მთაში ასულიყო ცხვართან თავისი მოტეხილი ფეხით.

## გზა მშვიდობისა!

ხანდახან თვალწინ ამეყუდებიან შავნაბადის მწვანედ მონაოჭებული მთები. ლილოს თავიდან თეთრ-ყურებდაცქვეტით იცქირებიან კავკასიონის მწვერვალები. მანგლისისა და კოჯორის მთებს მწვანე ზურგზე ნაგვიანევად წამოუსხამთ თეთრი ლეჩაქი, რომელსაც სასწრაფოდ ახდის დღევანდელი ცხრათვალა მზე.

ამალამ აიშლება ფარა ფარაზე და გაუდგებიან ქციისაკენ, ცხრა-წყაროსკენ, ქაჩალ-გორისაკენ.

ბევრი კაი მაგინებელი მწყემსი დაუზოგავად დასცლის თავის ლექსიკონის გუდას ნავთლუღის აოხრებულ ქუჩებში, ლაფში და ნანგრევებში. მაგრამ ალმასკომის ამხანაგებს ამ დროს ხომ გულიანად სძინავთ! მაშ რას გაიგებენ!

არც ბედენას ალმართზე იქნებიან მწყემსები პირმოკუმული. ბევრი ბრუნდე ქათინაური გაფრინდება მიწსახკომისა და გზა-ტრანსისაკენ. ამდენი წლების განმავლობაში უბრალო ხრახნილი გზა ვერ გაუკეთეს ამ გოლგოთაზე ასვლის მაგიერ. ცხვარმა, ძაღლმა, მწყემსმა უეჭველად ერთპირად უნდა შებღავლონ, რომ მოგვარდეს რამე? ბოლოს შებღავლებენ კიდეც — თუ კი გამგონი იქნება ვინმე.

ჩუმია ცხვარი, ჩუმია მწყემსი. ჩუმია ხშირად მთაცა და ბარიც. ჩუმია შუაღამით კოჯრისკენ მიმავალი გზაც. ამ სიჩუმეში მით უფრო მომხიბლავად გაისმის ზოგჯერ მწყემსი-ბიჭის ფანდურზე ჩამონამღერი:

მიდის მეცხვარე ჯოხით მხარზე,
წინ უძღვის ცხვარსა, მიდის მთაზედა.
სალამურს უკრავს ზარის ხმაზედა,
ცხვარიც მეტი ჰყავს თავის თმაზედა.

მიუახლოვდება ალგეთის ნაპირებს. ღამენატეხ სახეს გაიგრილებს ნაალგეთარი ცივი ნაკადით და შემდეგ ისევ ჩამოაფანდურებს:

კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი.
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი შესჭამონ მტრისანი.

მანგლისთან გავლისას ჩააკაკანებს „მანგლისელი ქალისა და მწყემსის“ სასიყვარულო ამბავს.

თაფარავანზე გადავლისას მოიგონებს თაფარავანელი ჭაბუკის საბედისწერო პოემას.

ჯავახეთში მისვლისას კი დამშვიდებით დაამღერებს იქაურ მთვარეზე, კალმახზე და ქერის პურზე.

გზა მშვიდობისა მწყემსო-ბიჭო შაქრო! „ბრონო“, სიკო! ყელმოღერებულო ბატკანო! გზა მშვიდობისა!

11 მაისი.

# სანდრო ეულის საიუბილეო საღამო

27 მაისს მწერალთა სასახლეში გაიმართა პოეტ **სანდრო ეულის** საიუბილეო საღამო მისი სამწერლო მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავად.

საღამო გაიხსნა ამხ. **მალაქია ტოროშელიძის** სიტყვით.

მოკლე სიტყვა წარმოსთქვა საქ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. **ფილიპე მახარაძემ**, რომელმაც აღნიშნა **სანდრო ეულის** როლი საქართველოს პროლეტ. მწერლობის წარმოშობასა და განვითარებაში.

სანდრო ეულის შემოქმედების შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. **ბესო ჟღენტი.**

იუბილიარს მიესალმენ — საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს სახელით — ამხ. **ვალ. ვაშაკიძე, სილ. თოდრია,** განსახკომიდან — ამხ. **გორდელაძე,** საბჭოთა მწერლობის საქ. ვ. ორგ. კომიტეტიდან — ამხ. **ვ. გოლცევი,** სომხეთის მწერალთა ორგ. კომიტეტიდან — ამხ. **ლორენცი,** წითელი არმიის ქართული ნაწილებიდან — ამხ. **პ. მიროტაძე,** სტალინის სახ. სარემონტო ქარხნიდან — ამხ. **დოლიძე,** ენის და ლიტ. ინსტიტუტიდან — ამხ. **ვ. ასათიანი,** რუსთაველის თეატრიდან — ამხ. **ი. ქანთარია,** მარჯანიშვილის სახ. თეატრიდან — ამხ. **დ. ჯანელიძე,** მწერლებიდან — ამხ. **პანტ. ჩხიკვაძე, ტ. ტაბიძე, ლ. ასათიანი, სიმ. ჩიქოვანი, კოსტ. ლორთქიფანიძე.**

იუბილიარს მისასალმებელი სიტყვით მიმართა აგრეთვე იმჟამად ტფილისში მყოფმა გაზ. „ჰუმანიტეს“ რედაქტორმა.

— იუბილიარი დაჯილდოებული იქნა საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს საპატიო სიგელით და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მიძღვნილი საჩუქრებით.

მწერალთა სასახლის ერთ-ერთ დარბაზში მოწყობილი იყო სანდრო ეულის შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელზედაც წარმოდგენილი იყო დღემდე გამოცემული სანდრო ეულის ყველა ნაწარმოები (25-მდე), მის შესახებ დაწერილი კრიტიკული ლიტერატურა, ფოტოგრაფიული სურათები, მხატვრობა, შარჟები და სხვ.

იუბილე ჩატარდა იშვიათი ორგანიზაციულობით და აქტივობით.

## პროტექციონიზმის წინააღმდეგ ლიტერატურაში

და მუშაობდა დნეპრო-მშენზე. რომანს „პრავდაში“ წინ უძღოდა ფ. გლადკოვის ნარკვევების მთელი სერია მშენებლობის პრაქტიკულ საკითხებზე, რომანი უკვე დიდი ხანია გამოვიდა და ეხლა ხდება მისი შეფასება. მოუსმინოთ, როგორ აფასებს მას დნეპრომშენის პროექტის ავტორი და მისი ერთ-ერთი მთავარი მშენებელი აკადემიკოსი **ალექსანდროვი:**

„ახლახან წავიკითხე „ენერგია“ გლადკოვისა. მე ხანგრძლივად და ბევრჯერ ვყოფილვარ მშენებლობაზე, მაგრამ ამ წიგნის სახეები ჩემთვის უცნობია; არ იცნობს ავტორი არც მშენებლობას და არც მშენებლებს, ავტორს არაფერი გაეგება ტექნიკაში; შეთხზული და გამოგონილია მისი „მტკიცე ბოლშევიკები“; არა, ნამდვილი ბოლშევიკები, რომელთაც მე ვხვდებოდი დნეპრომშენზე, ისეთი არ არიან, როგორც გლადკოვს გამოყავს“ (იხ. „ლიტ. გაზ.“ 10 მაისის ნომერი). ასე „ანადგურებს“ აკადემიკოსი ალექსანდროვი გლადკოვს, რომელმაც თავისი რომანისათვის საგანგებოდ იმუშავა წელიწადნახევარს ადგილობრივად დნეპრომშენზე. რა გასაკვირველია, თუ ცოცხალი ადამიანები, ნამდვილი ბოლშევიკები ვერ გამოიყვანა ი. ლისაშვილმა, რომელსაც არც ერთ ელსადგურზე ერთი ღამეც არ გაუთევია.

ი. ლისაშვილს განზრახული ქონდა დაეწერა დიდი ნაწარმოები, სურდა გამოეხატა ჩვენი დროის დიდი იდეები, მაგრამ ეს მან ვერ შეძლო, ვერ მოახერხა.

**„ნუ მიიღებთ ხელოვნებად, თუნდაც ძალიან სერიოზულ და ძალიან ჭკვიანურ ნაწარმოებს, რომელიც ვაი-ვაგლახით ჩაჭედილი არის რითმებში ან, რომელსაც უშნოდ გადაცმული აქვს სახეების ტანსაცმელი“.**

ყოველ ნაწარმოებში უნდა გამოსჭვივოდეს იდეა, გარკვეული ტენდენცია, მაგრამ იგი გაშიშვლებული არ უნდა იყოს, იგი მხოლოდ ალგებრაულ ნიშანს არ უნდა წარმოადგენდეს.

**„მე არავითარ შემთხვევაში არა ვარ ტენდენციური პოეზიის როგორც ასეთის წინააღმდეგი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ტენდენცია უნდა გამომდინარეობდეს მდგომარეობიდან და მოქმედებიდან თავისთავად, ისე, რომ მწერალმა განსაკუთრებით არ უნდა მიუთითოს ამაზე; მწერალი ვალდებული არ არის თავზე მოახვიოს მკითხველს გამოსახული საზოგადოებრივი კონფლიქტების შემდგომი ისტორიული გადაწყვეტა“.**

ვინ ამბობს ამას? პირველი წინადადების ავტორია **მარქსი** (მომყავს მისი ციტატა ა. ლუნაჩარსკის წერილიდან „დიდი მემკვიდრეობა“), ხოლო მეორეს — **ენგელსი** (მინა კაუცკისადმი მიწერილ წერილიდან „სტეფან ფონ გრინეჰოფზე“). ვფიქრობ, რომ ვ. ლუარსამიძე ამ ავტორებს მაინც ვერ დაწამებს „წვრილბურჟუაზიული ესთეტიზმით ფეხმძიმე ლიტერატურის“ მომხრეობას. ჩვენ კი სხვა არაფერი გვითქვამს, თუ არა ის, რომ, ი. ლისაშვილის მიერ აღებული სერიოზული და დიდი იდეა უშნოდ გადაცმულია სახეების ტანსაცმელში, რომ მის ნაწარმოებში ავტორი მკითხველს თავზე ახვევს საზოგადოებრივ კონფლიქტების ისტორიულ გადაწყვეტას.

ვ. წულუკიძე.

მხატ. შალვა მამალაძე.



ესკიზი ფილმისთვის

# საბჭ. მწერლების აჭარისტანის განყოფილებაში

საბჭოთა მწერლების აჭარისტანის განყოფილებამ ნაწილობრივ შესძლო შექმნილ დაბრკოლებების გადალახვა. ჩამოყალიბებულია სემინარი მწერლებისათვის. ორგანიზაციამ შესძლო რამდენიმე ახალგაზრდა მწერლის გამოყვანა სამწერლო ასპარეზზე. ცეკას 23 აპრილის დადგენილების ორი წლის თავზე გამართულმა საღამომ, დაანახა საზოგადოებას აჭარისტანის მწერლების ზრდა. საღამოზე გამოვიდენ, როგორც ძველი მწერლები (**მანიძე, რურუა, გრიგორიანი, ლორია** და სხვ.) ისე აჭარელი ახალგაზრდა მწერლები.

აჭარისტანის ორგანიზაციამ, საშეფო და პროფორგანიზაციებთან ერთად საგაზაფხულო თესვის კამპანიის კულტმომსახურების მიზნით, რაიონებში გაგზავნა ბრიგადა, რომელმაც შემოიარა ზემო აჭარისა და ნაწილობრივ ქვემო აჭარის სოფლები და მოაწყო 14 საღამო სხვადასხვა მეურნეობაში. ბრიგადა უშვებდა კედლისა და საველე გაზეთებს, რომლებსაც გლეხები ყურადღებით კითხულობდნენ. ბრიგადას წაღებული ქონდა თან და კოლმეურნეობებში დგამდა ადგილობრივ ცხოვრებიდან აღებულ სააგიტაციო პიესებს. ამასთანავე მწერლები ეცნობოდენ ადგილობრივ მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებას. ამჟამად გაზეთი „საბჭოთა აჭარისტანი“ ათავსებს წერილებს ბრიგადის მუშაობის შესახებ.

აჭარისტანის მწერლობის ზრდას და ხარისხის გაუმჯობესებას ხელს უწყობენ აგრეთვე „საბჭოთა აჭარისტანი“-ს და „ახალგაზრდა ლენინელის“ რედაქციები, რომლებიც ადგილს უთმობენ თავიანთ ფურცლებზე ახალგაზრდა და ზოგჯერ დამწყებ მწერლების ნაწარმოებებს. ამ დღეებში გამოვა აჭარისტანის საბჭოთა მწერლების მხატვრულ ნაწარმოებთა კრებული. კრებულში მოთავსებულია ადგილობრივი მწერლების შერჩეული ნაწერები. რა თქმა უნდა, კრებულს ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ ის მაინც გვიჩვენებს აჭარელ მწერლების შემოქმედებით ზრდას.

აჭარისტანის მწერლების კავშირში ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა საქ. საბჭ. მწერლების ყრილობის მოსამზადებლად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებას. სისტემატიურად წარმოებს ამა თუ იმ ნაწარმოების გარჩევა და დამუშავება. ამხ. **ბ. ჟღენტმა** წაიკითხა მოხსენება ნაწარმოების სალიტ. ენის შესახებ. ამხ. ჟღენტის მოხსენებამ და საერთოდ სალიტ. ენის გარშემო გამართულმა მოხსენებებმა გააძლიერეს ადგილობრივ მწერალთა პასუხისმგებლობა და ბრძოლა მხატვრულ ნაწარმოებთა ხარისხისათვის.

პ. ლორია.

# სალიტერატურო წრის მუშაობა სტალინისში

ყველასათვის ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოსწავლე-ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას და ახალი თაობის ლიტერატურულ აღზრდას მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრინციპებზე. ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სკოლებში არსებული სალიტ-წრეები. ქ. სტალინისის ამხ. **ლ. ბერიას** სახელობის პოლიტექნიკურმა ათწლედმა და ამხ. **მ. გორკის** სახელობის პ.-ტექნიკუმმა სათანადო ნაბიჯი გადადგეს ამ მიმართულებით. სასწავლებელში ჩამოყალიბებულია გაერთიანებული სალიტ.-წრე. წრის ბიურომ შეიმუშავა კვარტალური სამუშაო გეგმა, რომლის მიხედვითაც ფართოდ გაიშალა მუშაობა. წრის მეცადინეობებზე დამუშავებულ იქნა, როგორც თანამედროვე საბჭოთა მწერლების, ისე კლასიკოსთა ღირსშესანიშნავი ნაწარმოებები.

სალიტ-წრის ბიურო უშვებს ორთვიურ სამხატვრო სალიტერატურო ჟურნალს, „მოწაფეთა თვითშემოქმედება“-ს. დღემდე გამოშვებულია ჟურნალის სამი ნომერი; ჟურნალი ფართოდ აშუქებს როგორც ლიტერატურის აქტუალურ საკითხებს, ისე სკოლის საყოფა-ცხოვრებო საკითხებს, ჟურნალის მე-3 ნომერი მიძღვნილია ეგ. ნინოშვილისადმი მისი გარდაცვალებიდან 40 წლის თავის აღსანიშნავად. სალიტ-წრის ბიურომ ა. წ. 23 მაისს მოაწყო ეგ. ნინოშვილის ხსოვნის საღამო.

ალ. თხელიძე.
ალ. არევაძე.

## გამოვიდა
## ჟურნ. „მნათობი“ № 3

შინაარსი.

**მალაქია ტოროშელიძე** — ენის შესახებ.
**კარლო კალაძე** — ხუთი ლექსი.
**დემნა შენგელაია** — სხა (მოთხრობა).
**ილო მოსაშვილი** — მონადირული (ლექსი).
**არისტო ჭუმბაძე** — უნასთა ბუდე (მოთხრ.).
**კონსტ. გამსახურდია** — მთვარის მოტაცება (რომანი).
**ლეო ქიაჩელი** — ახალი ზესტაფონი (ნარკვევი).
**გ. ქუჩიშვილი** — ფერო-გიგანტი (ლექსი).
**დემნა შენგელაია** — შვიდი ძმა (ნარკვევი).
**სერგო კლდიაშვილი** — ძველი და ახალი ზესტაფონი (ნარკვევი).
**ლევან ასათიანი** — რომანი სამოქალაქო ომის შესახებ (წერილი).
**ალ. სულავა** — რევოლუციონური ბრძოლის ფურცლები (წერილი).
**სიმონ ხუნდაძე** — პოეტი-სარდალი (გრიგოლ ორბელიანი).
**ალ. ჯაბადარი** — მოგონებანი. ფასი 2 — 50.

**დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა „მნათობი“ № 4.**

# შემოქმედებითი დისკუსია

დემნა შენგელაიას „ბათა ქექიას“ გარშემო

29—31 მაისს მწერალთა სასახლეში მიმდინარეობდა შემოქმედებითი დისკუსია დემნა შენგელაიას ახალი რომანის „ბათა ქექიას“ გარშემო. მოხსენებით გამოვიდა ამხ. **პანტელეიმონ ჩხიკვაძე,** რომელმაც გაუკეთა რა მოკლე მიმოხილვა დემნა შენგელაიას წინაპერიოდის მხატვრულ შემოქმედებას, ვრცლად შეჩერდა „ბათა ქექიას“ ანალიზზე.

დისპუტში რომელიც ორ დღეს გაგრძელდა, მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა მწერლებმა და მკითხველებმა: **სოლ. თავაძემ, ლიდია მეგრელიძემ, ნ. მათიაშვილმა, გიგიბერიამ, შალვა სოხლაძემ, ალ. ჭეიშვილმა, სიმ. ჩიქოვანმა, ბენ. ბუაჩიძემ, სერგო კლდიაშვილმა, ლევან ასათიანმა, აკ. გაწერელიამ, მიხეილ ჯავახიშვილმა.**

დისპუტში მონაწილეობა მიიღო ავტორმაც — დემნა შენგელაიამ, რომელმაც მართებულად და მისაღებად ჩასთვალა მწერლების მიერ გამოთქმული ზოგიერთი შენიშვნა.

დისკუსია დამთავრდა მომხსენებლის საბოლოო სიტყვით.

მოხსენება და დისკუსიის მოკლე მიმოხილვა მოთავსებული იქნება ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ მორიგ ნომერში.

# სხვადასხვა

### კნუტ ჰამსუნის ახალი რომანი

რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობა ბეჭდავს რუსულად ჰამსუნის უკანასკნელ რომანს „ცხოვრება კი მიდის“. ეს რომანი უკანასკნელი ნაწილია ტრილოგიის. პირველი ორი რომანი „მოხეტიალე“ და „ავგუსტი“ უკვე დაიბეჭდა რუსულად. ამ უკანასკნელ რომანში აღწერილია ავგუსტის ბედი და სიკვდილი. მოქმედება სწარმოებს ნორვეგიის ზღვისპირის პატარა სავაჭრო ქალაქში.

### ლინკლეიტერის ახალი რომანი

ინგლისში და ამერიკაში გამოვიდა ინგლისელი მწერლის ერიკ ლინკლეიტერის რომანი „მაგნუს მერიმენ“, რომელმაც ამერიკელ გამომცემლობის აზრით უნდა დაიპყროს წიგნის ბაზარი.

„მაგნუს მერიმენ“-ი დაწერილია ზერელე სატირული მანერით. ლენკლეიტერი ყველაფერს დასცინის, მაგრამ დასცინის სუბუქ შენელებული ირონიით. ბურჟუაზიული პრესა აქებს ლინკლეიტერის იუმორს იმიტომ რომ ეს იუმორი არაფერს ღრმად არ ეხება.

მიუხედავად ამისა, ერთი ინგლისელი კრიტიკოსი ამბობს: ლინკლეიტერმა შენიშნა ბევრი ისეთი რამ, რაც იმალება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების კულისებს უკან და ცხადყო იმდენი იდიოტიზმი და უმსგავსოება, რომ ეს მკითხველში ალბად მარტო ღიმილს არ გამოიწვევს.“

რედაქტორი: დ. დემეტრაძე

პოლეგრაფსკოლა. მთავლ. რწმ. გ № 717